ხონის მუნიციპალიტეტის

საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი
2025 – 2028

წინამდებარე დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის მეშვეობით. დოკუმენტი მომზადებულია პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის მიერ და შესაძლებელია არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს. დოკუმენტი მომზადებულია USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს მხარდაჭერას ადგილობრივი დემოკრატიის განმტკიცებასა და კეთილდღეობის დონის ამაღლებაში, დეცენტრალიზაციის და საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელებასა და ისტორიული მიზნისკენ - ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ სწრაფვაში.

შინაარსი

შესავალი 3

1. არსებული მდგომარეობის მიმოხილვა 6

1.1. მუნიციპალიტეტის ძირითადი სოციალური და ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა .. 6

1.2. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა 10

1.2.1. სოფლის მეურნეობა 11

1.2.2. მრეწველობა და გადამამუშავებელი მეურნეობა 15

1.2.3. ტურიზმი და მომსახურების სფერო 19

1.3. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა 24

1.3.1. სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა 24

1.3.2. ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურა 27

1.4. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა 27

1.5. განათლება, კულტურა და სპორტი 31

1.5.1. განათლებაზე ხელმისაწვდომობა 31

1.5.2. არაფორმალური განათლება, კულტურა 34

1.5.3. სპორტი 39

1.6. გარემოს დაცვა 41

1.6.1. სტიქიური და ბუნებრივი რისკები 42

1.6.2. ნარჩენების მართვა და დასუფთავება 42

1.6.3. განახლებადი ენერგია 43

1.7. მუნიციპალური სერვისები და მმართველობა 44

1.8. მოსახლეობის გამოკითხვა 45

1.9. SWOT ანალიზი 47

2. ხონის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა, პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები 48

2.1. მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა 48

2.2. სექტორული პრიორიტეტები 49

2.3. მიზნები და ამოცანები 50

მიზანი 1: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასართობ-რეკრეაციული, ტურისტული, საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაცია 50

მიზანი 2: გარემოს დაცვა ნარჩენების მართვის, მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობის და სტიქიური მოვლენების უარყოფითი შედეგების შემცირების გზით. 52

მიზანი 3: აკრედიტაციის სტადარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა 53

მიზანი 4: ხონის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა კულტურული თვითგამოხატვისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობა სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიებების გზით . 54

მიზანი 5: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და სხვადასხვა საჭიროების მქონე პირებისთვის სოციალური სერვისების მიწოდება 55

მიზანი 6: ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა 56

მიზანი 7: მოქალაქეზე ორიენტირებული, გამჭვირვალე და ანგარიშვალედებული მმართველობის უზრუნველყოფა 57
2.4. ლოგიკური ჩარჩო 57
3. ხონის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება 57
3.1. განხორციელება და კოორდიანცია 58
3.2. მონიტორინგი და შეფასება 61
4. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა 63
5. სამოქმედო გეგმა 72

შესავალი

ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციაა, ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას და მოსახლეობას მიაწოდოს ხარისხიანი საჯარო სერვისები. მუნიციპალიტეტის ორგანოები ქმნიან და ახორციელებენ სხვადასხვა პროგრამას, სტრატეგიასა და გეგმას, რომელთა საბოლოო მიზანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება. საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, *„მუნიციპალიტეტის ორგანოები მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განსახორციელებლად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიმუშავებენ, ამტკიცებენ და ახორციელებენ შესაბამის პროგრამებს, სტრატეგიებს, სამოქმედო გეგმებსა და პროექტებს“*[1].

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ხონის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტს. მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი იქმნება მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კუთხით ადგილობრივი ხელისუფლების ხედვის, მოსახლეობისა და დაინტერესებული მხარეების ინტერესების ცხოვრებაში გატარებისთვის. ის განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის განვითარების კურსს მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში. ის არის თვითმმართველი ერთეულის ძირითადი სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს ადგილობრივი ხელისუფლების მიზნებს, ამოცანებს და მათი მიღწევის კონკრეტულ მექანიზმებს. მასში გაანალიზებული პრობლემების საპასუხოდ დოკუმენტში ჩამოყალიბებული მიზნები და ამოცანები შემდგომ თვითმმართველი ერთეულის „პრიორიტეტების დოკუმენტის“, ბიუჯეტის ფორმირების, საბიუჯეტო პროგრამებისა და ქვეპროგრამების საფუძველი ხდება.

ხონის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი მოიცავს 2025-2028 წლებს. ის წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და დაინტერესებული მხარეების მიერ ერთობლივად შემუშავებულ საშუალოვადიანი დაგეგმვის დოკუმენტს, რომელშიც ასახულია ხონის მუნიციპალიტეტის სოციო-ეკონომიკური განვითარების არსებული საჭიროებები, გრძელვადიანი განვითარების ხედვა, პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები, და კონკრეტული აქტივობები. დოკუმენტი შედგება ორი ნაწილისგან - სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. სტრატეგიაში მოცემულია მუნიციპალიტეტის სოციო-ეკონომიკური ანალიზი, გრძელვადიანი განვითარების ხედვა, პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები, ისევე როგორც განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, ხოლო სამოქმედო გეგმაში ჩამოყალიბებულია ის აქტივობები, პროექტები და ღონისძიებები (და მათი დაფინანსების წყაროები), რომლებიც ხონის მუნიციპალიტეტში განხორციელდება 2025 წლიდან 2028 წლის ჩათვლით იმ მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად, რომელიც განსაზღვრულია სტრატეგიულ ნაწილში.

მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი ხელს უწყობს სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეხმარება მიმდინარე გამოწვევების საპასუხოდ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. ის ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში არსებული ეკონომიკური, სოციალური, ჯანდაცვითი, გარემოსთან დაკავშირებული და საჯარო სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას, მუნიციპალური ფინანსებისა და მატერიალური რესურსების ეფექტიან მართვასა და ადგილობრივი პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას.

ხონის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი ჰარმონიაში და კავშირშია ეროვნული დონის პოლიტიკის დოკუმენტებთან. მისი მიზნები და ამოცანები გამომდინარეობს

[1] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ „ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგიასთან“, კერძოდ მის მიზანთან „გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და ეფექტიანი სახელმწიფო მართვის სისტემის ჩამოყალიბება“, რომლის ამოცანა 1.6 გულისხმობს „მუნიციპალიტეტების დონეზე საჯარო მმართველობის ეფექტიანობის გაზრდა და გაძლიერებას“. ამ ამოცანის თანახმად, „საქართველოს მთავრობის ამოცანაა ადგილობრივი ხელისუფლების ისეთი სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებითა და მოსახლეობის აქტიური თანამონაწილეობით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით, კანონის ფარგლებში, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების ეფექტიან და ოპერატიულ გადაწყვეტას, მუნიციპალიტეტის პოტენციალის სრულად გამოყენებას, მდგრად ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებას, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებასა და ცხოვრების დონის ამაღლებას...ჩამოყალიბდება სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობა.“
დოკუმენტი ასევე გამომდინარეობს საქართველოს მთავრობის 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგიიდან, რომელიც თავის ერთ-ერთ ამოცანად ისახავს ადგილობრივი განვითარების დაგეგმვის და კოორდინაციის სისტემის შექმნას.

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავდა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N264 ბრძანებისა და თანდართული „მუნიციპალიტეტის საშულოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების სახელმძღვანელოს“ რეკომენდაციების შესაბამისად. დოკუმენტის შემუშავების მიზნით, ხონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, 2024 წლის 12 მარტს შეიქმნა „ხონის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი” და დამტკიცდა მისი დებულება. სამუშაო ჯგუფში წარმოდგენილნი არიან როგორც მერიის საქალაქო სამსახურები, ისე დაინტერესებული მხარეები.

2024 წლის 13 თებერვალს, ხონის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოაქვეყნა საჯარო განცხადება მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შექმნის პროცესის დაწყების შეასებ და მოიწვია მუნიციპალიტეტში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო სექტორის წარმომადგენლები, მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები, სხვადასხვა ასაკობრივი, გენდერული, სოციალური, ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული მხარეები და აქტიურ მოქალაქეები, მონაწილეობა მიეღოთ ხონის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავებაში და ამ მიზნით შეევსოთ ონლაინ კითხვარი. კითხვარი შეავსო 14-მა მოქალაქემ, რომელთა ნაწილმა შემდეგ მონაწილეობა მიიღო საჯარო კონსულტაციების პირველ შეხვედრაზე.

სამუშაო ჯგუფში წარმოდგენილი არიან მერის პირველი მოადგილე (სამუშაო ჯგუფის ლიდერი) და მერის მოადგილე, შემდეგი საქალაქო სამსახურების ხემძღვანელები - ადმინისტრაციული სამსახური, საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური, ეკონომიკის, ქონების აღრიცხვისა და მართვის სამსახური, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და არქიტექტურის სამსახური, კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეთა სამსახური, ზედამხედველობის სამსახური, აუდიტისა და შიდა კონტროლის სამსახური; ასევე საკრებულოს შემდეგი კომისიების თავმჯდომარეები: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია, იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისია.

სამუშაო ჯგუფის წევრებად ასევე განისაზღვრენ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები და წევრები: მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, გენდერული თანასწორობის საბჭო, ხონის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო, შშმ პირთა საბჭოს მეფუტკრეთა ასოციაცია, მეწარმე ქალი

(მეჩაიეობა), ქალაქ ხონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, ხონის სასპორტო სკოლა და ხონის დევნილთა საინიციატივო ჯგუფი.

მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, ასევე შეიქმნა ტექნიკური ჯგუფი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის ხელმძღვანელობით.

ხონის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავება მოიცავდა შემდეგ ძირითად ეტაპებს: თავდაპირველად ჩატარდა ხონის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი, რომელსაც მოჰყვა პრიორიტეტიზაცია, სტრატეგიული ხედვის, მიზნების, ამოცანებისა და წარმატების ინდიკატორების განსაზღვრა, ხოლო შემდეგ შემუშავდა სამოქმედო გეგმა. ყველა ეტაპი ჩატარდა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N264 ბრძანებითა და თანდართული მუნიციპალიტეტის საშულოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების სახელმძღვანელოს მითითებების შესაბამისად.

დოკუმენტის სოციო-ეკონომიკური სიტუაციის ანალიზისას გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები: SWOT ანალიზი და „პრობლემის ხის ანალიზი“. სამუშაო ჯგუფის მიერ სიტუაციის ანალიზის პირველადი პროექტის მომზადებას მოჰყვა დაინტერესებულ მხარეებთან საკონსულტაციო შეხვედრები იმ მეთოდებით, რომელიც შემოთავაზებულია სახელმძღვანელოს მე-2 დანართში (იხ. მე-5 თავი) და ონლაინ გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო პირველადი მიგნებების გადამოწმება და პრიორიტეტების იდენტიფიცირება. პროცესში გამოყენებულ იქნა სახელმძღვანელოში რეკომენდირებული მეთოდების ტრაინგულაცია (როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი).

„პრობლემის ხის ანალიზის“ მეთოდი თავდაპირველად გამოიყენებოდა სიტუაციის ანალიზის თითოეულ სექტორში ძირითადი გამოწვევების დასადგენად და კონტექსტუალიზაციისთვის: მუნიციპალური ეკონომიკა, მათ შორის სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და მომსახურება, და მრეწველობა და გადამამუშავებელი სექტორი; ინფრასტრუქტურა, მათ შორის სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა, ტურისტული და რეკრეაციული ინფრასტრუქტურა; ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება; განათლება, კულტურა და სპორტი; გარემოს დაცვა; და მუნიციპალური სამსახურები და მმართველობა. სამუშაო ჯგუფის წევრები დაიყვნენ დარგობრივ ჯგუფებად თითოეულ სექტორში არსებული პრობლემების, მათი შედეგებისა და მიზეზების დასადგენად. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საჯარო მოხელეების (სამუშაო ჯგუფისა და ტექნიკური ჯგუფის წევრები) მიერ შემუშავებული სიტუაციის ანალიზის თითოეული სექტორული განყოფილება მოიცავს იმ სექტორების გამოწვევების კრიტიკულ ანალიზს, რომლებზეც ისინი პასუხისმგებელნი არიან.

დოკუმენტი იყენებს მუნიციპალიტეტის და ცენტრალური სამთავრობო დაწესებულებების ადმინისტრაციულ მონაცემებს, ეროვნული გამოკვლევებისა და ბიზნეს რეესტრის ადმინისტრაციულ მონაცემებს და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის რეგიონულ და მუნიციპალურ სტატისტიკას, რომელიც მოიცავს 60-ზე მეტ ინდიკატორს. აღნიშნული მონაცემები დროში გაანალიზდა და ადვილად გასაგები დიაგრამების სახით აისახა დოკუმენტში.

SWOT ანალიზის ფარგლებში ჩატარებულ სესიაზე, სამუშაო ჯგუფის წევრებმა გამოავლინეს, განიხილეს და შეთანხმდნენ იმ ძლიერ მხარეებზე, სუსტ მხარეებზე, შესაძლებლობებსა და საფრთხეებზე, რომლებიც დგას ხონის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინაშე. დისკუსიის შედეგები შეჯამდა SWOT ცხრილში და დაერთო სიტუაციის ანალიზს.

გარდა ამისა, სამუშაო ჯგუფის სხდომაზე გაიმართა პრიორიტეტების განსაზღვრის სესია, სადაც სამუშაო ჯგუფის წევრებს შეეძლოთ დაესახალებინათ ხონის მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი ყველაზე აქტუალური გამოწვევები და საჭიროებები. იდენტიფიცირებულ საკითხებზე დაყრდნობით, მოხდა განსაზღვრული საკითხების/გამოწვევების რანგირება იმის მიხედვით, თუ რამდენჯერ იყო ისინი ნახსენები.

შემდგომ ეტაპზე, 2024 წლის 1 მაისს, სამუშაო ჯგუფის პირველადი მიგნებების გადამოწმებისა და ფართო საზოგადოების მოსაზრებების მისაღებად, ჯგუფის ლიდერმა და სამუშაო ჯგუფის წევრებმა სიტუაციის ანალიზის პროექტის ძირითადი მიგნებები წარუდგინეს პირველი საჯარო საკონსულტაციო შეხვედრის მონაწილეებს. შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ ის მოქალაქეები, ვინც გამოხატეს დოკუმენტის შექმნის პროცესში მონაწილეობის სურვილი და ამ მიზნით შეავსეს ონლაინ ფორმა. მონაწილეთა შორის იყვნენ სსო-ს ლიდერები, თემის წევრები, მასწავლებლები, მცირე ბიზნესის მფლობელები, გიდები და სხვადასხვა პროფესიის მოქალაქეები. შეხვედრის მონაწილეებმა სამუშაო ჯგუფის წევრებს დაუსვეს კითხვები და შესთავაზეს დამატებითი საკითხები, რომლებიც, მათი აზრით, საჭირო იყო ასახულიყო დოკუმენტში. ამის შემდეგ გაიმართა პრიორიტეტიზაციის სესია, რომლის დროსაც საზოგადოების წევრებს შეეძლოთ სამი პრიორიტეტის დასახელება. სიტუაციის ანალიზის დროს ინტერვიუების გზით ასევე შესწავლილ იქნა ხონის მუნიციპალიტეტის ტურისტულ მაღალმთიან კურორტზე (სოფ. გორდი) ტურიზმის სექტორის სირთულეები და შესაძლებლობები.

საბოლოოდ, სამუშაო ჯგუფის და დაინტერესებული მხარეების პრიორიტეტიზაციის, ისევე როგორც საჯარო კონსულტაციის პირველ შეხვედრაზე გამოვლენილი საკითხების საფუძველზე, შედგენილი იქნა 27 პრიორიტეტის სია, რომელიც მოქალაქეებს წარედგინათ ონლაინ გამოკითხვის (Google Form-ის) გამოყენებით, რათა შემოწმებულიყო აღნიშნულიდან რომლებს მიიჩნევდნენ ხონელები ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებად. რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ოთხი საკითხი. საერთო ჯამში, დაფიქსირდა 675 პასუხი, ხოლო 660 პასუხის (მონაცემთა გაწმენდის შემდეგ) საფუძველზე გაანალიზდა ყველაზე ხშირად ნახსენები საკითხები/პრობლემები, ჩაშლილი სქესის, სოფლის და ქალაქის, ასაკის მიხედვით. საბოლოო სია წარედგინა მერს და სამუშაო ჯგუფს. ამ გამოკითხვის საფუძველზე, შეთანხმებული იქნა ხონის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის (სექტორული) პრიორიტეტების საბოლოო ჩამონათვალი. სექტორებში არსებული გამოწვევების საპასუხოდ კი განისაზღვრა ხედვა, სექტორული პრიორიტეტები, და მიზნები და ამოცანები კონკრეტულ სექტორში, შესაბამისი ინდიკატორებით, რომლებიც ასევე ასახულ იქნა სამოქმედო გეგმაში, ხოლო მათ მისაღწევად, მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებში, დაიგეგმა საჭირო აქტივობები.

დოკუმენტის პირველ თავში წარმოდგენილია ხონის მუნიციპალიტეტის სოციო-ეკონომიკური ანალიზი და სხვადასხვა სფეროში არსებული გამოწვევები. მეორე თავში მოცემულია არსებული გამოწვევების საპასუხოდ დაგეგმილი მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი განვითარების ხედვა, პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები, მათ შორის ლოგიკური ჩარჩო. მესამე თავში განხილულია დოკუმენტის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. მეოთხე თავში აღწერილია თუ როგორ იქნა უზრუნველყოფილი დოკუმენტის შექმნის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. დოკუმენტის ბოლოს კი თანდართულია ხონის მუნიციპალიტეტის 2025-2026 წლების საშუალოვადიანი განვითარების სამოქმედო გეგმა.

1. არსებული მდგომარეობის მიმოხილვა

1.1. მუნიციპალიტეტის ძირითადი სოციალური და ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა

ხონის მუნიციპალიტეტი მდებარეობს კოლხეთის დაბლობის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ეგრისის ქედის სამხრეთ კალთებზე, მდინარეების გუბისწყალსა და ცხენისწყალს შორის. მუნიციპალიტეტის ტერიტორია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 42 კილომეტრზე გრძელდება, მაქსიმალური სიგანე 17 კილომეტრია. ხონის მუნიციპალიტეტი გეოგრაფიულად მოქცეულია აღმოსავლეთ განედის 42°22' და 42°37'-ს შორის, ჩრდილო განედის 42°14' და 42°35'-ს შორის. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ხონი, რომელიც საქართველოს დედაქალაქიდან - თბილისიდან დაშორებულია 270 კმ-ით, იმერეთის რეგიონის ცენტრიდან, ქალაქ ქუთაისიდან 25 კმ-ით, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან 44 კმ-ით, უახლოესი

რკინიგზის სადგურიდან 19 კმ-ით, ხოლო უახლოესი პორტიდან ქ. ფოთი - 100 კმ-ით.

ხონის მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება მარტვილისა და აბაშის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით - სამტრედიის, აღმოსავლეთით - წყალტუბოს, ხოლო ჩრდილოეთით - ცაგერის მუნიციპალიტეტები.

ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორია 428.5 კმ^2-ია, მისი 58% მთაგორიანია. ხონის მუნიციპალიტეტის დაბლობ ზონაში მდებარეობს მუნიციპალური ცენტრი - ქალაქი ხონი და სოფლები (ზღვის დონიდან 62 - 200 მეტრამდე), ყველაზე დაბალი ადგილია სოფელი ქუტირი (ზღვის დონიდან 62 მეტრი), ყველაზე მაღალი კი ლეხის მწვერვალი (2436,7 მეტრი). გამოიყოფა სამი რელიეფური ზონა: დაბლობი, მთის წინა და მთის ზონები. მთიან ზონაში მრავლადაა ჩანჩქერები, წყაროები და ფოთლოვანი ტყეები.

ხონის მუნიციპალიტეტი აერთიანებს 1 ქალაქსა (ხონი) და 41 სოფელს. მათგან დაბლობში (ზღვის დონიდან 62-200 მეტრამდე) მდებარეობს ივანდიდი, ქუტირი, გვაზაური, პატარა ჯიხაიში, გუბი, კუხი, ახალშენი, კონტუათი, ნახახულევი, საწულუკიძეო და მათხოჯი. მთისწინა ზონის (ზღვის დონიდან 200-500 მეტრამდე) სოფლებია: სუხჩა, ლეფილიე, ხიდი, ბესიაური, დედალაური, უძლოური და ახალბედისეული. მთიანი ზონის სოფლებია (ზღვის დონიდან 500მ დან 1000 მეტრამდე): კინჩხა, გორდი, ღვედი, ძეძილეთი, გვაშტიბი, გელავერი, ორაგვეთი, ნოღა და დიდღვაბუნა.

ხონის მუნიციპალიტეტი ზღვის ნოტიო, სუბტროპიკული კლიმატის ოლქში მდებარეობს, დაბლობში შედარებით ცხელი ზაფხული და თბილი ზამთრი იცის, მთიან ზონაში ცივ ზამთრიანი და ხანგრძლივ გრილ ზაფხულიანი ნოტიო ჰავაა. ასეთივე ჰავაა მუნიციპალიტეტის ყველაზე მაღალ ადგილებში-ასხის პლატოზე, იმ განსხვავებით, რომ იქ ზაფხული მოკლეა. ამასთან, საშუალო მთიან ზონაში ნალექები უფრო უხვია, ვიდრე მთისწინეთსა და დაბალ მთიანეთში. არსებული კლიმატი ხელსაყრელია სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, ხოლო ტურისტული ღირსშესანიშნაობები და მოსახერხებელი მდებარეობა ხელსაყრელ გარემოს ქმნის შესაბამისი ეკონომიკური დარგის (ტურიზმი, აგროტურიზმი და ა.შ.) განვითარებისათვის.

ხონის მუნიციპალიტეტი იყოფა 12 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად. მათ შორის, 1 ქალაქის ტიპის დასახლებაა. მუნიციპალიტეტში კინჩხის ადმინისტრაციული ერთეულის 4 სოფელს, სოფელი ქვედა კინჩხას, სოფელი ზედა კინჩხას, სოფელი საწისქვილოს და სოფელი კინჩხაფერდს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი და მათი ჰისტომეტრიული სიმაღლე 800 მეტრს აღემატება. დღეის მდგომარეობით, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი მინიჭებული აქვს 157 ადამიანს.

ხონის მუნიციპალიტეტის საზღვრებში არის 20,000 ჰექტარი სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწა. მთის მიკროზონა ფოთლოვანი ტყეებითა და ბუჩქნარითაა დაფარული. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოიპოვება თიხა, რომლისაგანაც იწარმოება მაღალი ხარისხის აგური და კრამიტი, ასევე ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ დედალაურში მოიპოვება კირქვა და გრანიტი, ხოლო სოფელ ღვედში - ბარუტი. 2023 წლის მონაცემებით, მინერალური რესურსების სააგენტოს მიერ სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად გაცემულია 53 ლიცენზია, მათ შორის 40 - მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოსაპოვებლად, 8 მდინარე ცხენისწყლის სანაპიროზე ქვიშა ხრეშის მოსაპოვებლად, 4 - საღორღე და სამშენებლო კირქვის მოსაპოვებლად და 1 - ანდეზიტო ბაზალტი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2023 წლის 1 იანვრის მონაცემებით, ხონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 20.1 ათას კაცს, რაც მთლიანად რეგიონის მოსახლეობის 6.5 %-ია. მოსახლეობის 51,7 % ქალები შეადგენენ, ხოლო 48.3%-ს - კაცები. მუნიციპალიტეტის ფარგლებში, ქალაქად (ხონში) მცხოვრებთა რაოდენობა - 39%-ია, ხოლო 61% ნაწილდება სასოფლო დასახლებებზე.

ბოლო 5 წლის მანძილზე (2019-2023 წწ.) მოსახლეობის რიცხოვნობა შემცირდა 7.8 %-ით. შემცირდა როგორც ქალაქ ხონის, ისე სასოფლო დასახლებების მოსახლეობა. 2019 წლიდან 2023 წლამდე მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა 23.8 ათასიდან 20.1 ათასამდე. კლების ტენდენციით ხასიათდება მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვ.კმ-ზე, რომელიც შემცირდა 2019 წელს 51,0 კაცი/კვ.კმ-დან, 2023 წელს 47,0 კაცი/კვ.კმ-მდე. ქვეყნის მაშტაბით მოსახლეობის სიმჭიდროვე 67.0 კაცი/კვ.კმ-ია.



2023 წლის მონაცემებით, ხონის მუნიციპალიტეტში აღირიცხება 5671 პენსიონერი, რაც მოსახლეობის 28% შეადგენს, მათ შორის მაღალი მთის სტატუსის მქონე დასახლებაში - 97 პირი. ხონის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი ასაკის 1483 ბავშვია. მუნიციპალიტეტში სოციალურ პაკეტების მიმღებთა[2] რაოდენობა შეადგენს 1431 პირს. საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახთა რაოდენობა 2019 წლიდან 2023 წლის ბოლომდე შემცირდა 29%-ით და შეადგენს 966 ოჯახს. რაც შეეხება პენსიის მიმღებთა რაოდენობას, მოცემული დროის მონაკვეთში ის გაიზარდა 2.5 %-ით. შობადობა მკვეთრად შემცირებულია, რისი ძირითადი მიზეზია შიდა და გარე მიგრაცია, ასევე ეკონომიკური მდგომარეობა.



[2] სოციალური პაკეტის მიმღებ პირებს მიეკუთვნება სხვადასხვა ასაკობრივი და შეზღუდული შესაძლებლობის ხარისხის მქონე შშმ პირები, მარჩენალ დაკარგული ოჯახის წევრები, სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებნი, ვეტერანები, დევნილები და სხვა ჯგუფები.





ხონის მუნიციპალიტეტში ბოლო ათი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა შობადობა, 2023 წელს ახალდაბადებულთა რიცხვი მოსახლეობის მხოლოდ 0.8 %-ია და 160 შეადგენს 1000 მოსახლეზე მაშინ, როცა გარდაცვალების რიცხვი 330 კაცია.

პრობლემებია დასაქმების კუთხით, მუნიციპალიტეტში მცოვრებთა უმეტესი ნაწილი თვითდასაქმებულია. დასაქმების მაჩვენებლები მეტ-ნაკლებად სტაბილურია და საშუალოდ შეადგენს შრომისუნარიანი მოსახლეობის 63 %-ს. თუმცა, თვითონ ის ფაქტი რომ ზრდას პრაქტიკულად ადგილი არ აქვს მიუთითებს, რომ საჭიროა დამატებითი ღონისძიებების გატარება დასაქმების კუთხით.

2023 წლის მდგომარეობით ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაფინანსებულ ორგანიზაციებში მუშაობს 957 ადამიანი რომელთა (მერია -127- მათ შორის 45 % ქალი; საკრებულო -

54 -მათ შორის- 25% ქალი; ა(ა)იპ -776- მათ შორის 65% ქალი). დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 2023 წლის მონაცემებით არის 54 32 პირი. მათ შორის მცირე საწარმოებში 62%; საწარმოთა შრომითი დანახარჯები 7.8 მლნ ლარს შეადგენს. დასაქმებულთა რაოდენობა იმერეთის რეგიონში 165.1 ათასი კაცია, უმუშევრობის დონე კი რეგიონის მოსახლეობის 19,4 % შეადგენს.
2019 წლიდან მაღალმთიან სოფელ კინჩხაში შეინიშნება მოსახლეობის დაბრუნება მაღალმთიანი სტატუსის გამო და მასთან დაკავშირებული საპენსიო დანამატის და სხვა შეღავათების გამო. რაც შეეხება ეკომიგრანტებს, აჭარიდან ეკომიგრანტები ჩამოსახლებული არიან სოფ. დედალაურში. 300 კომლი დღეს შემცირებულია 80-90 კომლამდე. 2023 წელს მუნიციპალიტეტში შევიდა 7 განაცხადი სოფ. კინჩხადან და გორდიდან მეწყერული პროცესის/მცოცავი ქანების გამო სახლის შეძენის სურვილით (ადგილმონაცვლეობა), წელს ასეთი 4 შემთხვევაა.

1.2. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

ხონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკა ძირითადად წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, გადამამუშავებელი მრეწველობის, მომსახურეობის და ვაჭრობის სფროებით. ყველაზე მეტად განვითარებულ დარგია სოფლის მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო გადამუშავება, სხვა დარგები შედარებით ნაკლებად არის განვითარებული. ტურიზმი მუნიციპალიტეტისათვის განვითარებადი, სწრაფად მზარდი მიმართულებაა, ამ მხრივ პრიორიტეტულია ტურიზმის ხელშემწყობი ინიციატივები ადგილობრივ და ქვეყნის დონეზე.

მუნიციპალიტეტის მრავალფეროვანი ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები საუკეთესო გარემოს ქმნიან სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარებისთვის. სოფლის მეურნეობის განვითარებული დარგებია: მემცენარეობა, მართვლეული კულტურების წარმოება, მესაქონლეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მეთხილეობა და მეჩაიეობა.

მიუხედავად ბოლო წლებში ხონის მუნიციპალიტეტში ეკონომიკური ზრდისა, მაინც დიდ გამოწვევად რჩება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ნელი ტემპით განვითარება. მიუხედავად მზარდი ახლადრეგისტრირებული სუბიექტებისა, **დაბალია მათი სიცოცხლისუნარიანობა** (მოქმედი ბიზნესი სუბიექტების რაოდენობა). დაფინანსების მიღებისათვის დაწესებული საბანკო პირობები და მაღალი **საპროცენტო განაკვეთი, არაკვალიფიციური კადრები, ბიზნეს პარტნიორების** ნაკლებობა განვითარებისათვის ძირითადი ბარიერებია.

ასევე მზარდია მაგრამ მაინც გამოწვევას წარმოადგენს **დასაქმების მაჩვენებელი და შრომის ანაზღაურება.** 2023 წლის მდგომარეობით, **ბიზნეს სექტორში** დასაქმებულთა რაოდენობა 1404-ია. ეს მონაცემი 22%-ით მეტია 2022 წელს დასაქმების მაჩვენებელზე და 48.5%-ით მეტია 2014 წელთან შედარებით. დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა 816. საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 794.1 ლარს შეადგენს, რაც 38.4 %-ით დაბალია რეგიონის საშუალო მაჩვენებელზე.



ხონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობს მუნიციპალიტეტში განახორციელოს ისეთი პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას და კარგად იქნება მორგებული მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ კონტექსტზე, რაც უზრუნველყოფს ადგილობრივი ეკონომიკური პოტენციალის ეფექტურ გამოყენებას.

ხონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, რასაც განაპირობებს ეკონომიკის განვითარების ხელისშემშლელი არაერთი ფაქტორი. სამრეწველო განვითარება პირდაპირ კავშირშია სოფლის მეურნეობასთან, ამიტომ სოფლის მეურნეობა მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან ეკონომიკურ სექტორს წარმოადგენს და საჭიროა მისი შემდგომი განვითარება. ასევე შესაძლებელია ტურისტული პოტენციალის გამოყენება, რათა გაიზარდოს ტურიზმის წილი ადგილობირვი ეკონომიკის განვითარებაში.

1.2.1. სოფლის მეურნეობა

მუნიციპალიტეტის მრავალფეროვანი ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები საუკეთესო გარემოს ქმნიან სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარებისთვის. სოფლის მეურნეობის ძირითადი მაპროფილებელი დარგებია: მემცენარეობა, მარცვლეული კულტურების წარმოება, მესაქონლეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მეთხილეობა, მებოსტნეობა.

2023 წლის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობია 18 041,5 ჰა. დანიშნულების მიხედვით მისი გამოყენება შემდეგნაირად ხდება: სათიბი - 104 ჰა, საძოვარი - 7 654 ჰა, სახნავი - 7 381 ჰა და მრავალწლიანი კულტურები - 2 902.4 ჰა.

მრავალწლიანი ფართობები ნარგაობების მიხედვით შემდეგნაირადაა განაწილებული: ვენახი - 104 ჰა, ხეხილი და ტექნიკური კულტურები (დაფნა) - 522 ჰა, სუბტროპიკული კულტურები - 222.8 ჰა, ციტრუსი - 24.8 ჰა, ჩაი - 1 056 ჰა, კაკლოვანი კულტურები - 910 ჰა (მათ შორის კაკალი 8 ჰა) და კენკროვანები 127.2 ჰა.



2023 წლის

მონაცემები მნიშვნელოვანი
კულტურების ფართობების,
წარმოებისა და საჰექტარო მოსავლიანობის შესახებ

N	კულტურა	ფართობი (ჰა)	მიღებული მოსავალი ტონა	საჰექტარო მოსავლიანობა
1	სიმინდი	2487.5	6990	2.8
2	თხილი	905	581.2	0.64
3	მოცვი	111.4	414	3.7
4	ჩაი	270	100	0.37

ხონის მუნიციპალიტეტში მემცენარეობის მიმართულებით ყველაზე პრიორიტეტული დარგია მემარცვლეობა (სიმინდი). მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციული ერთეულის სახნავ ფართობებზე ითესება სიმინდი. პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ **სახნავი ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილი დაუმუშავებელია,** სახნავი ფართობების გამოყენების დაბალი პროცენტი გამოწვეულია დამუშავებისათვის საჭირო **მაღალი ხარჯების და მოსახლეობის დაბალი ინტერესის** გამო.

გავრცელებული კულტურაა ასევე მეთხილეობა, მაგრამ ბოლო წლებში მეთხილეობის წინაშე მდგარი პრობლემაა წარმოებული **პროდუქციის დაბალი ხარისხი,** რაც აგრეთვე **არასწორ აგროტექნიკურ სამუშაოებთან** არის დაკავშირებული, რაც საბოლოო ჯამში იწვევს წარმოებული **პროდუქციის დაბალ ფასებს** და მნიშვნელოვნად ამცირებს ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილის შემოსავალს.

მრავალწლიანი ფართობების 38% ჩაის პლანტაციებს უჭირავს, რომელთა უდიდესი ნაწილი **დეგრადირებული და გამოუყენებელია,** ამჟამად რეაბილიტირებულია 270 ჰა ჩაის პლანტაცია, რეაბილიტაციის პროცესშია 200 ჰა. ჩაის პლანტაციების ნაწილი აღდგენას არ ექვემდებარება და ეტაპობრივად ენაცვლება სხვა კულტურით.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სხვადასხვა პროგრამებით ხდება სოფლის მეურნეობის პერსპექტიული დარგების თანადაფინანსება. პროგრამა „დანერგე მომავალის ფარგლებში“ ბოლო წლებში მუნიციპალიტეტში გაშენდა სხვადასხვა კულტურები.



მნიშვნელოვნად განვითარდა კენკროვანი კულტურების წარმოება, განსაკუთრებით ლურჯი მოცვი. პროგრამა ,,დანერგე მომავალის ფარგლებში“ დაფინანსებული ბენეფიციარების საშუალებით ყოველწლიურად იზრდება ლურჯი მოცვის პლანტაციები.



მუნიციპალიტეტში დარგის განვითარებასთან ერთად იზრდება გადამამუშავებელი საწარმოების რაოდენობაც. ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ჩაის გადამამუშავებელი საწარმოები - 1 მსხვილი, რომლის წარმადობა მეზობელ მუნიციპალიტეტებსაც ემსახურება და 3 მცირე საწარმო; კაკლოვანი კულტირების გადამამუშავებელი საწარმო, ხილის გადამამუშავებელი საწარმო, ხილის საშრობი და სამაცივრე მეურნეობა. ხდება წარმოებული პროდუქტის როგორც ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაცია, ისე ექსპორტი. მნიშვნელოვანია ქალი მეწარმეების როლი სოფლის მეურნეობის დარგში, მათი რაოდენობა ფერმერთა 38 %-ს შეადგენს.

სოფლის მეურნეობის დარგის ერთ-ერთი გამოწვევაა ნაკვეთების **დაბალმოსავლიანობა,** რაც ერთის მხრივ გამოწვეულია **ნიადაგის ნაყოფიერების** ამაღლების მიზანმიმართული ღონისძიებების არარსებობით (ეროზიების საწინააღმდეგო ღონისძიებები, ნიადაგის ანალიზი) და მეორეს მხრივ **არაეფექტური საირიგაციო სისტემით**, რომელიც სრულად ამოქმედების შემთვევაში შეძლებს 8 234 ჰა სახნავი მიწის გასარწყავიანებას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხონი-სამტრედიის სარწყავი სისტემით ხდება დაახლოებით 1000-1200 ჰა ფართობის გასარწყავიანება. მნიშვნელოვანი პრობლემაა ასევე მცირემიწიანობა, რომლის აღმოსაფხვრელად საჭიროა **კოოპერატივების** შექმნა და **სახელმწიფო პროგრამებში** ჩართვა.

მნიშვნელოვანი გამოწვევაა ასევე **აგრო სერვისცენტრების** რაოდენობა და მათი საჭიროება, ამ ეტაპზე მუნიციტეტში ფუნქციონირებს ორი სერვის ცენტრი. აღსანიშნავია, რომ სასოფლო სამეურნეო ტექნიკის პრობლემა ხონის მუნიციპალიტეტში არ დგას. დღეისათვის მუნიციპალიტეტს ემსახურება კერძო საკუთრებაში არსებული 60 ერთეული ტექნიკა.

მეცხოველეობა ხონის მუნიციპალიტეტში ტრადიციული დარგია, ფერმერული მეურნეობებში გავრცელებულია მომთაბარეობა. გაზაფხულის ბოლოს მსხვილი ფერმები საქონელს მთაში მიერეკებიან. მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოსახლეობის საკუთრებაშია 13200 სული მსხვილფეხა პირუტყვი, მათ შორის 7860 ფური. საწარმო დანიშნულება მხოლოდ მსხვილფეხა პირუტყვს გააჩნია, ძირითადად ყველის სახით, რომელთა წარმოება ოჯახებში ხდება და რეალიზდება ადგილობრივ ბაზარზე. მუნიციპალიტეტში 2023 წელს წარმოებული იქნა 10218 ტონა **რძე** და 657.4 ტონა **ხორცი,** რაც 26%-ით მეტია გასული წლის მონაცემზე. გარდა მსხვილეფეხა ცხოველისა, ასევე მნიშვნელოვანია ღორი-2700, ცხვრი-965 და თხა-570.



მუნიციპალიტეტში ასევე გავრცელებული დარგია **მეფრინველეობა,** რომელსაც ეწევა როგორ საოჯახო მეურნეობები, ისე ფერმა-ინკუბატორები (10 ერთეული). მუნიციპალიტეტში დაახლოებით 246 380 ფრთა ფრინველია, მათ შორის 238 750 ქათამი, 1855 ინდაური, 1715 ბატი, 3880 სხვა.

ხონის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი **მეფუტკრეობას** უჭირავს. 2023 წლის მდგომარეობით მთლიანად მოსახლეობის საკუთრებაში არსებობს 4490 სკა ფუტკარი. 2023 წლისათვის მუნიციპალიტეტის მასშტაბით წარმოებული იქნა 450 ტონა თაფლი. ეს განპირობებულია გამორჩეული კლიმატური პირობებით. ძალიან მნიშვნელოვანია ხონის მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელი ფუტკრის სამთაბარო არეალის მცირე რადიუსი. ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორია ხასიათდება მოკლე და რბილი ზამთრით. ადრე გაზაფხული, მრავალფეროვანი ფლორა, საშუალებას იძლევა წელიწადში 9 თვის განმავლობაში მიმდინარეობდეს ფუტკრის ოჯახების განვითარება. თუ თანამედროევე სამრეწველო მეურნეობაში ხელოვნური კვება აუცილებლობას წარმოადგენს, ხონის პირობებში პროდუქციის რაოდენობის გაორმაგება მცირე დახმარებით არის შესაძლებელი. იგივე შეიძლება ითქვას ფუტკრის რძის წარმოებაზეც. თბილი კლიმატი ღალიანობის ხარგრძლივობას განაპირობებს და დასრულებისთანავე ფუტკარი რძეზე მუშაობას იწყებს დაახლოებით მაისის დაწყებიდან აგვისტოს ბოლომდე. დღეს ძირითადი პრობლემა **პროდუქციის რეალიზაციაა.** არსებობს ორი ბაზარი - ადგილობრივი და ექსპორტი. ადგილობრივ ბაზარზე იყიდება მცირე რაოდენობის თაფლი და ასევე მცირე რაოდენობის ფუტკრის რძე. ეს საკმარისი არ არის წარმოებული პროდუქციის სრული რეალიზაციისათვს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 13 **თევზსაშენი** ტბორიდან, რომლის სარკის ფართობი 55,5 ჰა-ს შეადგენს, ფუნქციონირებს 3, რომელთა წარმადობა ბოლო წლებში შეადგენს შემდეგს: 13.6 ტონა სქელშუბლა და კობრი და 1.5 ტონა კალმახი. წინა წლებში მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა **თევზის საკვებ ბაზაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა და ხარისხიანი სანაშენე ლიფსიტების დეფიციტი.** დიდღვაბუნას ტერიტორიაზე გახსნილი სალიფსიტე მეურნეობა აღნიშნულ პრობლემას ეტაპობრივად აღმოფხვრის.

სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის **გადამამუშავებელი საწარმოების** (რძის გადამამუშავებელი) შექმნის სტიმულირება სერიოზული წინსვლა იქნება მუნიციპალიტეტისათვის. იგი ხელს შეეწყოს სოფლის მეურნეობის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას, რაც საბოლოო ჯამში შეამცირებს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას და გაზრდის რაოდენობას.

ადგილობრივი კადრების გადამზადება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროებში და **ფერმერების დონეზე** ექსცენტრიული მომსახურეობა ეფექტური მექანიზმის დანერგვა ხელს შეუწყობს მოსახლეობაში ცოდნის დონის ამაღლებას, რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება არსებული დარგების სრული აგროტექნიკური ციკლის შენარჩუნება პირველადი წარმოებიდან საბოლოო პროდუქტამდე, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს წარმოებული პროდუქციის გაზრდილ რაოდენობას და ხარისხს.

სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ დასახლებული გამოწვევები სოფლის მეურნეობაში		
1	სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა[3]	13
2	მუშახელის ნაკლებობა	8
3	განათლების ნაკლებობა, ტექნოლოგიების არცოდნა	3
4	სასუქების და პესტიციდების მაღალი ფასები	2
5	ფინანსების რესურსებზე წვდომა	2
6	პროდუქციის მიღებაზე მაღალი დანახარჯები	1
7	უცხოურ პროდუქციაზე მაღალი კონკურენცია	1
8	სოციალური შემწეობის მიმღები პირები არ მუშობენ	1
9	გასაღების დაბალი ფასები	1
10	დაბალი მოსავლიანობა კლიმატის გამო	1
11	სოფლის მეურნეობისადმი ნაკლები ინტერესი	1
12	საწრყავი-საირიგაციო სისტემა	1
13	დაურეგისტრირებელი მიწა	1
14	აგრო პროგრამებზე არაინფორმირებულობა	1
15	ინფრასტრუქტურა	1
16	სამაცივრე მეურნეობა	1
17	მუშახელის გადამზადება	1
18	თანამედროვე ტექნოლოგიებზე წვდომა	1

1.2.2. მრეწველობა და გადამამუშავებელი მეურნეობა

ბოლო წლებში მუნიციპალიტეტში აღსანიშნავია საწარმოების რაოდენობის ზრდა, რომელიც ფიქსირდება ძირითადად მცირე ბიზნესის ისეთ დარგებში, როგორიცაა: გადამამუშავებელი მრეწველობა და ვაჭრობა. მუნიციპალიტეტში ძირითადი მაპროფილებელი პროდუქციის სახეებია:

[3] არ დადასტურდა ფაქტებით

ხის გადამუშავება და ავეჯის წარმოება, რძის პროდუქტები, ხილი და ბოსტნეული, ჩაის და მოცვის წარმოება.

ვაჭრობის სფერო შედარებით კარგად არის განვითარებული მცირე საწარმოებში, სადაც 202 საწარმოა წარმოდგენილი, აქედან 4 საბითუმო და 198 საცალო ვაჭრობის საწარმოა. მუნიციპალიტეტში ეკონომიკური სექტორის ზრდა ფიქსირდება შემდეგ სფეროებში: ვაჭრობა, სასტუმროები და რესტორნები, გადამამუშავებელი მრეწველობა, ხილი და ბოსტნეული და სოფლის მეურნეობა.

რეგისტრირებულ მოქმედ სუბიექტთა რაოდენობა
ეკონომიკური სახეების მიხედვით

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება	2019 წ	2020 წ	2021 წ	2022 წ
სულ	723	759	794	928
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	14	15	11	15
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	6	7	4	5
დამამუშავებელი მრეწველობა	115	124	128	134
ელ.ენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	0	2	1	1
წყალმომარაგება: კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გათავისუფლების სამუშაოები	2	2	2	2
მშენებლობა	31	36	48	49
საბითუმო და საცალო ვაჭრობა: ავტომობილების და მოტოციკლეტების რემონტი	311	311	318	329
ტრანსპორტი და დასაწყობება	65	82	80	84
განთავსების საშუალებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	23	22	20	20
ინფორმაცია და კომუნიკაცია	7	8	5	5
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	6	5	4	5
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	16	16	18	18
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური სამუშაოები	19	20	20	20
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	6	7	6	7
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური დაცვა	2	2	2	2
განათლება	33	33	34	35
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	13	16	16	16
ხელოვნება, გართობა და დასვენება	10	11	10	9
სხვა სახის მომსახურება	13	13	10	11
საქმიანობა უცნობია	31	27	57	161

საქსტატის მონაცემების მიხედვით, 2023 წლის ბოლოსთვის, ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ 3,745 შეადგინა, მათ შორის მოქმედი ბიზნეს სუბიექტია 997, რომლის 90% მცირე ზომისაა. მოქმედ ბიზნეს სუბიექტებს შორის 319 (32%) ქალია. ახლადრეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტი იყო 250, რომელთაგან 39 არის შპს და 211 ინდმეწარმე. მათგან 230 არის კერძო ადგილობრივი საკუთრება, 9 - კერძო უცხოური საკუთრება, ხოლო 1

შერეული კერძო საკუთრება. ახლადრეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა 64 %-ით მეტია, ვიდრე 2020 წელს.





გაუმჯობესებულ ეკონომიკურ პარამეტრებს შორის აღსანიშნავია გამოშვებული პროდუქციის გაზრდილი მოცულობა, გაზრდილი მოხმარება და დამატებითი ღირებულება. 2022 წლის ბოლოსთვის ბიზნეს სექტორის ბრუნვა, 2019 წელთან შედარებით, 44%-ით გაიზარდა, ხოლო გამოშვებული პროდუქციის მატებამ ბოლო წლებში 74.3% შეადგინა. ხონის მუნიციპალიტეტში გამოშვებული პროდუქცია იმერეთის რეგიონში გამოშვებული პროდუქციის მხოლოდ 9.1 % შეადგენს. ბიზნეს სექტორის დამატებითი ღირებულება 2022 წლის ბოლოსთვის შეადგენდა 20.1 მლნ ლარს მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი 2019 წელს მხოლოდ 13,8 მლნ ლარი იყო.



ხონის მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორის წლიური ბრუვნა იმერეთის რეგიონის მთლიანი წლიური ბრუნვის მხოლოდ 1.1%-ს შეადგენს.



	2020	2021	2022
ქუთაისი	2106.4	2130	2889.6
ხონი	56.5	79.4	80.5
სამტრედია	112.9	112.9	151.2
ვანი	48.2	68.1	86.1
ბაღდათი	56.7	85.9	97.2
ხარაგაული	124.6	278.9	420.7
ზესტაფონი	1018.5	1966.5	2879.1
თერჯოლა	164.2	275.1	395.4
ჭიათურა	242.6	323.6	394.5
საჩხერე	111.8	126.3	149.6
ტყიბული	40.8	65.5	98.9
წყალტუბო	227.9	253.9	308.5

ბოლო წლებში ხონის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად მოიმატა ბიზნეს სექტორში განხორციელებულმა ინვესტიციების მოცულობამ, რამაც 2022 წელს 7,2 მილიონი ლარი შეადგინა მაშინ, როცა 2019 წელს მისი მოცულობა მხოლოდ 2.4 მლნ ლარით, ხოლო 2014 წელს 0.2 მლნ ლარით შემოიფარგლებოდა.



1.2.3. ტურიზმი და მომსახურების სფერო

ხონის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი, კულტურული და ისტორიული-გეოგრაფიული მოცემულობის გათვალისწინებით, დამთვალიერებელთა დიდ ინტერესს იწვევს. მრავალფეროვანი ჩანჩქერები, კანიონები, ხელუხლებელი ბუნება; უძველესი საერო და საკულტო ძეგლები - ეს იმ შესაძლებლობების არასრული ჩამონათვალია, რომელიც ხონის მუნიციპალიტეტს აძლევს საშუალებას გამორჩეული ადგილი დაიკავოს ქვეყნის ტურისტულ რუკაზე.

2012-2022 წლებში ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა, რომელთა საქმიანობის სფეროა განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა და საკვების მიწოდება, გაიზარდა 22-დან 49-მდე.



საქსტატის თანახმად, სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობა 2022 წელს იყო 3.



მუნიციპალიტეტში სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების სტუმართა რაოდენობა 2022 წელს შეადგენდა 287-ს, მათ შორის 87 საზღვარგარეთიდან. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ პიკურ წელს წარმოადგენდა 2019 წელი, როდესაც ეს მაჩვენებელი იყო 2854 და 444.



საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ 25 დაცულ ტერიტორიას შორის, 2022 წელს ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ოკაცეს კანიონი მე-6 ყველაზე მონახულებადი დაცული ტერიტორია იყო, ხოლო კინჩხას ჩანჩქერი - მე-13, რომელმაც 2023 წლის პირველ ნახევარში მე-8 ადგილზე გადაინაცვლა.



ხონის მუნიციპალიტეტის სოფელი კინჩხას მიდამოებში მდებარეობს ოკაცეს კანიონი. ბუნების ძეგლი ზღვის დონიდან 520 მეტრ სიმაღლეზეა. მისი საერთო ფართობი 70,5 ჰა-ს შეადგენს. კანიონის სიღრმე 20-100 მ-ია, სიგანე საშუალოდ 20 მ, ზოგიერთ ადგილას კანიონის კედლები თითქმის უერთდება ერთმანეთს და ბუნებრივ ქვახიდებს წარმოქმნის. კანიონი სამ საფეხურად გადმომავალ ჩანჩქერების კასკადს მოიცავს. მიმდინარე წელს კინჩხას ჩანჩქერზე მოეწყო საფეხმავლო ბილიკები, გადასახედები, საპარკინგე ადგილები, საპიკნიკეები, საინფორმაციო დაფები და ზიპლაინი.

ოკაცეს ჩანჩქერი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი და გამორჩეულია საქართველოში. ზედა ორი საფეხური მდინარის მარჯვენა შენაკადზეა წარმოქნილი, პირველის სიმაღლე დაახლოებით 25 მ-ია, ხოლო მეორე ჩანჩქერის სიმაღლე 70 მ-მდე აღწევს. ნაკადის მდ. საწისქვილოსთან შეერთების შემდეგ 20 მეტრში წაროიქმნება კასკადის მესამე დაახლოებით 35 მ სიმაღლის საფეხური. კანიონში კლდეზე დაკიდებული ბილიკი და ხეობაზე მოწყობილი გადმოსახედი ვიზიტორებსა და ტურისტებს დაუვიწყარ სანახაობას სთავაზობს. ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდში მდებარეობს ოკაცეს კანიონის ვიზიტორთა ცენტრი.

პანდემიის შემდეგ შემცირდა ვიზიტორების რაოდენობა, თუმცა 2023 წელს თითქმის აღდგა 2019 წლის მაჩვენებელი, მათ შორის უცხოელი ვიზიტორების მხრივ.



მუნიციპალიტეტს რესურსის გათვალისწინებით გააჩნია მრავალფეროვანი ტურიზმის განვითარების შესაძლებლობა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის სხვადასხვა ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები: მუნიციპალიტეტში არაერთი უძრავი ისტორიული-არქიტექტორული და კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლი მდებარეობს მათ შორის ტურისტული კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია: ხონის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, პომპეუსის ხიდი, ნაქალაქარი კიბულა, მიმდებარე სოფლებში არის ეკლესია მონასტრები და ციხესიმაგრეები. ასევე ქალაქ ხონში არის ხონის ისტორიული მუზეუმი, მირაკლი აბაშიძის და ასევე პოლიკარპე კაკაბაძის სახლმუზემი, რომელიც საჭიროებს რეაბილიტაციას. ასევე ქალაქის ტერიტორიაზე მდებარეობს ხონის ისტორიული ბულვარი, რომელსაც ჩაუტარდა რეაბილიტაცია, მოეწყო ღია სცენა, რომლის გამოყენებაც ხდება გამოფენა-გაყიდვების, საზეიმო კონცერტების, და სხვადასხვა ღონისძიებების გამართვისთვის.

კურორტი გორდი ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდის ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 800 მეტრზე მდებარეობს. იგი გამოირჩევა ბუნების სილამაზით და უამრავ ტურისტს იზიდავს. სოფლის მიდამოებში მდებარეობს ოკაცეს კანიონი, რომელშიც რამდენიმე ჩანჩქერი და ტბა გვხვდება. მომაჯადოვებელი ხეობა, ბზის ხეები, სიმშვიდე, სუფთა ჰაერი და შესანიშნავი ხედები საუკეთესო ადგილს ქმნის ბუნებაში განტვირთვის მოყვარულთათვის. სოფელში შეგიძლიათ მოინახულოთ XIX საუკუნის გორდის სასახლე, რომელიც დავით დადიანს ეკუთვნოდა და დადიანების საზაფხულო რეზიდენციას წარმოადგენდა. გორდი სუბტროპიკული ჰავის ოლქში მდებარეობს, მისთვის დამახასიათებელია რბილი ზამთარი და თბილი ზაფხული. კურორტის ბუნებრივი სამკურნალო

ფაქტორია დაბალი მთის ჰავა. სიმწვანეში ჩაფლული გარემო, კლიმატოთერაპია და ულამაზესი ადგილები ხეტიალისთვის შესანიშნავია, თუკი ბუნების სიმშვიდეში დასვენება გსურთ.

ქვემო სვანეთიდან ზემო სვანეთში გზის რეაბილიტაციის გათვალისწინებით, იქმნება საშუალებას ერთი ტურისტული დერეფანი გაკეთდეს ხონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების (გორდის, კინჩხას), წყალტუბოს, ლეჩხუმის, ქვემო და ზემო სვანეთის დაკავშირებით, რაც იქნება ზუგდიდიდან მესტიამდე გზის ალტერნატივა, რომელიც ტურისტებს მეტი მრავალფეროვნების და მეტი ლოკაციის მონახულების საშუალებას მისცემს.

მიმდინარეობს სუბალპური ზონაში მდებარე ასხის მთის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, რომლის დასრულების შემდეგ ტურისტულ მიმართულებას დაემატება ახალი ტურისტული მარშრუტი. დაგეგმილია ასევე ონიორეს ჩანჩქერამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. მოეწყო ძეძილეთი-გორდი-ნოღის საავტომობილო გზა, რომელიც უმოკლესი გზაა პრომეთეს მღვიმედან გორდი-კინჩხის ტურისტულ ლოკაციამდე. ასევე კინჩხას ჩანჩქერზე მოეწყო საფეხმავლო ბილიკები, საპიკნიკეები საინფორმაციო დაფები. სოფელ გორდში მდებარეობს ვიზიტორთა ცენტრი, რომლის ინფრასტრუქტურა დამაკმაყოფილებელია.

ტურისტების რაოდენობის გაზრდამ საშუალება მისცა სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებას. მუნიციპალიტეტში არის როგორც სასტუმროები ასევე საოჯახო ტიპის სახლი/ჰოსტელები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 17 სასტუმრო მშენებარე 4. აქედან ქალაქის ტერიტორიაზე არის ორი სასტუმრო.

მუნიციპალიტეტს აქვს შესაძლებლობა განავითაროს კანიონის ტურები, საცხენოსნო ტურები. მნიშვნელოვანია გორდის დადიანების ტყე - პარკის აღდგენა, რაც მუნიციპალიტეტს მისცემს შესაძლებლობას, პარკმა მიიღოს ისტორიული ბაღების ევროპული სტატუსი და ხელი შეუწყოს ტურისტების რაოდენობის ზრდას. ტურისტული სეზონის ხანგრძლივობა ტურისტულ ზონაში წარმოადგენს 12 თვეს.

ხონის მუნიციპალიტეტი გაწევრიანებულია იმერეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციაში, რომლის დანიშნულებას წარმოადგენს ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, ასევე DMO იმერეთი მუნიციპალიტეტის იმიჯის განვითარებაზე როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მოსაზიდად. ქალაქის სახელით მონაწილეობს საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში, ასევე ატარებს ტრენინგებს ტურისტულ სექტორში დასაქმებული ადამიანებისთვის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მათი განვითარების მიზნით.

ძირითად საჭიროებას წარმოადგენს ტურიზმის ცენტრის და შესაბამისი კადრის არსებობა, ახალი ტურისტული რეკრეაციების განვითრება, ახალი ტურისტული ადგილების შექმნა, რაც მუნიციპალიტეტს მისცემს საშუალებას განვითარდეს სათავგადასავლო და რეკრეაციული ტურიზმი.

სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების პოტენციალის მქონე ლოკაციებია: სოფ. გორდში მდებარე თურჩუს მთა, დადიანების ისტორიული ტყე-პარკი, სოფ. კინჩხის ტერიტორიაზე არსებული ჩანჩქერები და კანიონები, მუნიციპალიტეტის ჩრდილოეთით, კავკასიონის სამხრეთ კალთის კირქვული ზოლის ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი და მაღალი ასხის კასტრული მასივი, უმაღლესი ლეხის სიმაღლე 2449 მეტრია. მასივის ეს ნაწილი ივნისის პირველ დეკადამდე დაფარულია თოვლით და თავისი ბუნებრივი პოტენციალით არ ჩამოუვარდება გუდაურსა და ბაკურიანს.

ხონის ტერიტორიაზე მდ. ცხეენიწყლის გასწვრივ ქარსაფარ ზოლს გააჩნია რეკრეაციული პოტენციალი. აქ შესაძლებელია მოეწყოს საპიკნიკე და სასეირნო სივრცეები, ასევე სპორტულ-გასართობ-რეკრეაციული აქტივობები (მაგ. ფეინთბოლი და გასართობი).

გამოწვევები

სექტორში არსებული გამოწვევები:

- ქალაქის ტერიტორიაზე არის ორი სასტუმრო, მაგრამ ცუდი ინფრასტრუქტურის გამო ვერ აკმაყოფილებს ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს, რის გამოც ჭირს მასშტაბური ღონისძიებების, მაგ. სპორტული შეჯიბრებების ჩასატარებლად სტუმრების განთავსება.
- ქალაქში არ არის ტურიზმის ცენტრი, გიდები, ტუროპერატორები.
- ქალაქში არის რამდენიმე კვების ობიექტი, მაგრამ საკმარისად არ არის განვითარებული კვების და საოჯახო სასტუმროების ობიექტები. არ არის განვითრებული ტურისტული სერვისი, არ არის შესაბამისი სასტუმროები, ტურისტულ რეკრეაციული ადგილები.
- არ არის სუვენირების და ადგილობრივი მეწარმეების გამოფენა-გაყიდვის სივრცე.
- ძირითადი ტურისტული სანახაობა წარმოდგენილია 1 დღიანი ტურით და შესაბამისად მუნიციპალიტეტში ტურისტის დაყოვნების მაჩვენებელი არის დაბალი. ძეძილეთი-გორდი-ნოღა-ღვედის გზის განვითარებამ, რომელიც ქ. ხონის გვერდის ავლით ოკაცეს და კინჩხას აკავშირებს პრომეთეს მღვიმესთან და მარტვილის კანიონთაც, გამოიწვია ტურისტული ნაკადების შემცირება უშუალოდ ქალაქის ტერიტორიაზე, რის გამოც საჭიროა ქალაქ ხონის ტურისტული მიზიდულობის გაზრდა.
- ტურისტულ სოფლებში დიდ პრობლემას წარმოადგენს ინტერნეტისა და ბუნებრივი აირის არარსებობა. ამჟამად, მიმდინარეობს ინტერნეტის მაგისტრალის გაყვანა, შიდა დაქსელვა უნდა მოხდეს დროულად. სოფლებში ინტერნეტ ტელევიზია არაა, სატელიტური ტელევიზია კი შეფერხებით მუშაობს.
- მუშახელის დეფიციტი, სოფლებიდან ემიგრაცია, რაც სასტუმროებს ურთულებს მენეჯერების, დამლაგებლების და სხვა პოზიციებზე კადრების შოვნას
- მაღალმთიანი სოფლები არაა გაზიფიცირებული, რაც იწვევს იმას, რომ სასტუმროები დამოკიდებული არიან დიდი რაოდენობით შეშის მოხმარებაზე, რაც იწვევს ტყის კაფვას. შეშის ღუმელები ხშირად ზიანდება, ხოლო ელექტროენერგიის გამოყენება ძალიან დიდ ხარჯთან არის დაკავშირებული და არაა ეფექტიანი ალტერნატივა.
- ხშირად ზიანდება ელექტროგაყავნილობა და ელექტროენერგიის მიწოდება წყდება, რაც აზარალებს სასტუმრო ბიზნესს.
- ადგილობრივების ინფორმაციით, გორდის/ოკაცეს კანიონის მმართველობაში არ მონაწილეობს ადგილობრივ მოსახლეობა და დაინტერსებული მხარეები. ოკაცეს და მარტვილის კანიონის ადმინისტრაცია, კანიონების მართვის პროცესში (რემონტი, სამუშაო საათები და ა.შ.) არ ითვალისწინებს ადგილობრივი ტურისტული ბიზნესის და ვიზიტორების ინტერესებს.
- სოფ. გორდს (კურორტი) არ აქვს საკმარისი ცნობადობა, რომელიც ფართოდ ცნობილს გახდიდა მის სამკურნალო-რეკრეაციულ თვისებებს. ასევე ცნობადობის ამაღლებას საჭიროებს ასხის მთა, სადაც გზა კეთდება და არის სუბალპური ზონა, გამოირჩევა განსაკუთრებული გემოვნური თვისებების მქონე ადგილობრივი ასხის სულგუნით და ასევე კარგი სათევზაო, საკარვე და საპიკნიკე ადგილებით.
- მობილური კავშირგაბმულობის პრობლემა
- კოპიტნარის აეროპორტიდან სოფ. გორდში არ დადის ტრანსპორტი, ხოლო მიკროავტობუსები ქუთაისიდან და ხონიდან დადის არასტაბილური, ხშირად ცვალებადი გრაფიკით, რის გამოც ტურისტები ვერ ახერხებენ ერთ დღეში ორმხრივი მგზავრობის დაგეგმვას. ამასთან, ადგილობრივების აზრით, ქუთაისამდე მგზავრობის საფასური საკმაოდ ძვირია (5 ლარი). სოფ. გორდის ცენტრში არაა გადახურული ავტობუსის გაჩერება, სადაც ლოდინი იქნებოდა მოსახერხებელი, განსაკუთრებით წვიმაში.
- მიუსაფარი ცხოველების და საქონლის პრობლემა აწუხებს მაღალმთიან ტურისტულ სოფლებსაც
- არც სოფ. გორდში და არც სოფ. ხიდში და მათხოჯში არაა აფთიაქი

- ხშირად არის პურის დეფიციტი, მაღაზიები არაა საკმარისი რაოდენობით, ასევე არაა ბანკომატი, რის გამოც ტურისტებს უჭირთ გლეხის ადგილობრივი პროდუქციის შეძენა (მაგ. სულგუნის)
- საჭიროა დათვლის ტბაზე მისასვლელი გზა
- სასტუმროებს და საოჯახო სასტუმროების დიდი ნაწილი არ არიან გაციფცრულებული (არაა განთავსებული გუგულის რუკაზე)
- ხონის მუნც. მაღალმთიანი ზონის სოფლები მიმზიდველია იმით, რომ ახლოსაა ქუთაისთან, წყალტუბოსთან და იმერეთის და სამეგრელოს დაცულ ტერიტორიებთან, ასევე ლეჩხუმთან, არის შესანიშნავი ბუნება, სიგრილე და სიმწვანე, რის გამოც არის მოთხოვნა ევროპული ქვეყნებიდან ქორწილების გადახდაზე. თუმცა ხონში არაა იუსტიციის სახლის გამსვლელი ჯგუფის მომსახურება მექორწინეთათვის.
- ოკაცეს კანიონთან ჩასასვლელი გზა მოსაწესრიგებელია.
- დადიანების სასახლის ზემოთ მოსახლეობას აქვს სასმელი წყლის მიწოდების პრობლემა.

1.3. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

ხონის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის ზოგადი მდგომარეობა ნაწილობრივ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, რადგან ადგილობრივი შემოსულობები მუნიციპალიტეტში მწირია, „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის“ (რგპფ), საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისა და სხვა ფონდების ხელშეწყობითა და თანადგომით ხორციელდება მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება. დასაჩქარებელია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ტემპი, რაც ხელს შეუწყობს ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდასა და შესაბამისად გაიზრდება შემოსავლები, რაც აისახება სხვადასხვა პროექტების განხორციელებაზე და მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა საშუალოვადიან პერსპექტივაში გახდება დამაკმაყოფილებელი.

1.3.1. სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა

ხონის მუნიციპალიტეტში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის სიგრძე არის 77კმ, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის გზის საერთო სიგრძე 316 კმ.

2023-2024 წლებში ხონის მუნიციპალიტეტში რგპფ-ს დაფინანსებით განხორციელდა 31 პროექტი. ძირითადად მოხდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. ასფალტირებულია 35 კმ ადგილობრივი მნიშვნელობის გზა. სულ ასფალტირებული და ბეტონის საფარი დაგებულია 120 კმ გზაზე.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ ყოველწლიურად გამოყოფილი 470 000 ლარიდან სოფლებში მოეწყო გარე განათების სისტემები, სპორტული ინფრასტრუქტურა, სკვერები, კეთილმოეწყო შიდა სასოფლო გზები და განხორციელდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები.

„სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი (585 000 ლარი) თანხის ფარგლებში განხორციელდა დაზიანებული სახურავების, სანიაღვრე არხების, დაზიანებული გზის საფარის არდგენა-რეაბილიტაცია, ასევე, შესყიდულ იქნა და მოსახლეობას მიეწოდა პროფფენილისა და ხის მასალა.

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით გორდის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ქვედა გორდში მიმდინარეობს სოფელ გორდის საჯარო სკოლის, ქ. ხონში #3 საბავშვო ბაღისა და სოფელ მათხოჯის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.

ხონის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია **მუნიციპალური ტრანსპორტი.** მოსახლეობას ემსახურება სს „ტრანსპორტელი“ შპს „ხონი ექსპრესი“-ს მეშვეობით. ტრანსპორტით მომსახურება გათვალისწინებულია მგზავრთა ნაკადის შესაბამისად კვირაში 2-ჯერ ოთხშაბათს და კვირას შემდეგ სოფლებში: გუბი, კუხი, დედალაური, მათხოჯი, მათხოჯი, ბარაბაძეების უბანი, სუხჩა, ნოღა (გაღმა ნოღა, გამოღმა ნოღა), გორდი (ზედა გორდი, ქვედა გორდი, ბანგვეთი), კინჩხა (ზედა კინჩხა, ქვედა კინჩხა, რონდიში, საწისქვილო), ძეძილეთი, ახალბედისეული, ნახახულევი, სოფელი კონტუათი, სოფელი საწულუკიძეო (ემსახურება ხონი-მათხოჯისა და გორდისა და კინჩხის მიმართულებით მოძრავი ავტოტრანსპორტი), გუბი (ემსახურება ქუთაისის საქალაქო ტრანსპორტი), კუხი (ემსახურება ქუთაისის საქალაქო ტრანსპორტი), ქუტირი (ემსახურება სამტრედიის მიმართულებით მოძრავი ტრანსპორტი), ივანდიდი (ემსახურება სამტრედიის მიმართულებით მოძრავი ტრანსპორტი).

ხონის მუნიციპალიტეტში **ნარჩენების** შეგროვებასა და ტრანსპორტირებას ახორციელებს მუნიციპალური ა(ა)იპ „ხონის კომუნალური სერვისცენტრი“. ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით ხორციელდება შემდეგი სახის სამუშაოები: ნარჩენების შეგროვება მოსახლეობიდან და ტრანსპორტირება ნაგავსაყრელამდე; ნარჩენების შეგროვება კომერციული და სხვა დანიშნულების დაწესებულებებიდან; ბაღის ნარჩენები გატანა; მკვდარი ცხოველების გატანა, ქალაქის ქუჩების დაგვა-დასუფთავება, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქაოტურად წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემცველი არასანქცირებული მცირე ნაგავსაყრელების გასუფთავება.

2018 წლის 28 თებერვალს ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N 4018 განკარგულებით დამტკიცებული იქნა ,,ხონის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა“2018-2022 წწ. გეგმა მოიცავდა 12 ამოცანას და 24 ღონისძიებას. 2022 წლის მდგომარეობით მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ღონისძიებებიდან - 18 შესრულებულდა სრულად (75%), მიმდინარედ დარჩა 2 ამოცანა (8,33%), უახლოეს მომავალში დაგეგმილად - 4 (16,67%). 2022 წლის 28 დეკემბერს ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Nგ-61.61223622 განკარგულებით დამტკიცებული იქნა ,,ხონის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა “ 2023-2027 წწ. (განახლებული). ნარჩენების მართვის გეგმა შედგენილია ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის 2026-2030 და ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის 2023-2027 შესაბამისად. გეგმა მოიცავს 12 ამოცანას და 25 ღონისძიებას. 2023 წლის მდგომარეობით გეგმის ღონისძიებებიდან 11 შესრულებულია სრულად - 44%, მიმდინარეა 4 ღონისძიება - 16%, უახლოეს მომავალში დაგეგმილი 10 ღონისძიება - 40%.

ა(ა)იპ ხონის კომუნალური სერვისცენტრი ყოველდღიურად ემსახურება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 80%-ს (15800 ადამიანი). მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვებისათვის გამოიყენება კონტეინერული და კარდაკარის სისტემა. ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერები განლაგებულია საცხოვრებელ ადგილებთან ახლოს, რითაც მოსახლეობას საშუალება ეძლევა თავად განათავსოს ნარჩენები კონტეინერებში. კონტეინერული სისტემით მოცულია ხონის მუნიციპალიტეტის ნაწილი, კერძოდ, კონტეინერები განთავსებულია შემდეგ დასახლებულ პუნქტებში: ქალაქი ხონი, სოფლები: კინჩხა, გორდი, მათხოჯი, ნახახულევი, კონტუათი, საწულუკიძეო, კუხი, გუბი, ქუტირი, ახალშენი, ივანდიდი, ხიდი, ნამაშევი, დედალაური, გოჩა ჯიხაიში. გამოყენებული კონტეინერების საერთო რაოდენობა - 221. აქედან 197 საყოფაცხოვრებო ნარჩენისთვის, 15 პლასტმასისათვის და 9 ქაღალდისათვის. ტურისტული სეზონის განმავლობაში, ტურისტული ნაკადის ზრდის შესაბამისად, იზრდება საყოფაცხოვრებო ნარჩენის რაოდენობაც და 13მ^3 მოცულობის მანქანებს დღეში ორჯერ უწევთ მომსახურეობის გაწევა. კონტეინერების დაცლა სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებით ხდება. სერვისცენტრი ნარჩენების შეგროვება-გატანის მომსხურეობას ახორციელებს 3 - ნაგავშემკრები მანქანით, აქდან

ორი 13კბ.მ -იანი, ერთი 7,5კბმ-იანი. მუნიციპალიტეტში სატრანსპორტო პარკისთვის არ არის გამოყოფილი ტერიტორია. სატრანსპორტო საშუალებები ძირითადად განთავსებულია ქალაქის ცენტრალურ ნაწილში. ვინაიდან, მუნიციპალიტეტს არ გააჩნია საკუთარი ნაგავსაყრელი, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ხორციელდება ქალაქ სამტრედიის ნაგავსაყრელზე.



ადგილობრივი ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვაზე გამოყოფილი თანხები ყოველწლიურად მზარდი ტენდენციისაა.

წელი	ნარჩენების მართვაზე გამოყოფილი თანხა (ლარში)
2020	369 667
2021	417 767
2022	430 900
2023	540 383

ნარჩენების მართვის სფეროში მთავარი გამოწვევებია:

- კონტეინერები ხშირად ზიანდება, რის გამოც საჭირო ხდება ახლების შესყიდვა.
- კონტეინერების არსებული რაოდენობა გათვლილია მხოლოდ 15,800 მოსახლეზე. ხონის მოსახლეობის რაოდენობის[4] და 2023 წელს წარმოებული ნარჩენების (10042 ტონა), საჭიროა მინიმუმ 200 ცალი კონტეინერი.
- კომპოსტირება არ ხდება. არსებული ნარჩენების 43% დეგრადირებადია. მათი კომპოსტირების შემთხვევაში, კონტეინერების არსებული რაოდენობა იქნებოდა საკმარისი.

[4] ერთ მოსახლეზე წარმოქმნილი 0,6 კგ ნარჩენების გათვლით

1.3.2. ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურა

ხონის მუნიციპალიტეტში მდებარე ცენტრალურ ბულვარს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, მოეწყო ღია სცენა, რომლის გამოყენებაც ხდება გამოფენა-გაყიდვების, საზეიმო კონცერტების, კინოფილმების ჩვენებების და სხვადასხვა ღონისძიებების გამართვისთვის. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ბულვარის მიმდებარე სარეკრეაციო ზონას. ასევე, გორდი-კინჩხას ტურისტულ ლოკაციებამდე მისასვლელ გზამდე, სოფელ კონტუათში მოეწყო სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, ამავე გზაზე მოეწყო დასასვენებელი სივრცეები.

ასხის მთაზე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ (2024-2028წწ.) ამ ტურისტულ მიმართულებას დაემატება ახალი ტურისტული მარშრუტი. იგეგმება სოფელ კიჩხაში ონიორეს ჩანჩქერამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციაც.

მოეწყო ძეძილეთი-გორდი-ნოღის საავტომობილო გზა ორი სახიდე გადასასვლელით, რომელიც უმოკლესი ტურისტული გზაა პრომეთეს მღვიმედან გორდი-კინჩხის ტურისტულ ლოკაციამდე. აღნიშნული საავტომობილო გზა წარმოადგენს მათხოჯი-ხიდი-გორდი-კინჩხას და ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზებს შორის კავშირს, რომელიც ასევე აკავშირებს ადგილობრივ სოფლებს (გაღმა ნოღა, გამოღმა ნოღა, ძეძილეთი) საქართველოს საავტომობილო გზების ქსელთან და წარმოადგენს ტურისტული დანიშნულების ობიექტებთან (ოკაცეს კანიონი, პრომეთეს მღიმე და ა.შ.) საგზაო კავშირს.

ვიზიტორთა ცენტრიდან ოკაცეს კანიონამდე მისასვლელი ბილიკები გადის დადიანების ისტორიულ ტყე-პარკში. სავალი ბილიკები მოსაწესრიგებელია ასევე საჭიროა ბიო-ტუალეტები, დასამატებელია დასასვენებელი სკამები, კეთილმოსწობია დადიანების პარკში არსებული უძველესი სამი წყარო. აუცილებელია ლანდშაფტური არქიტექტურის დაგეგმარებითი სამუშაოების ჩატარება, ხე-მცენარეების მოვლა განახლება. სანაგვე ურნებისა და საბაღე სკამების შესაბამისობაში მოყვანა. აღდგენას საჭიროებს დადიანების ისტორიული სასახლე.

ქ. ხონში, ბულვარის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო საზოგადოებრივი სველი წერტილები. განახლდა საგზაო ნიშნები და მოხდა გზების მარკირება. რაც უზრუნველყოფს ტურისტთა უსაფრთხოებას. უსაფრთხოების კუთხით მნიშვნელოვანია ამბულატორიების მოწესრიგება. სამომავლოდ წინ გადაგმული ნაბიჯია ინფრასტრუქტურული პლათფორმების მოწყობა, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების პირები შეძლებენ გაეცნონ მუნიციპალიტეტის ტურისტულ ობიექტებს.

1.4. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

ხონის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 17 ამბულატორია (გუბის, კუხის, ახალშენის, ჩაის მეურნეობა, დედალაურის, ივანდიდის, კონტუათის, ნახახულევის, მათხოჯის, გორდის,კინჩხის,ძეძილეთი,ღვედი,გოჩაჯიხაიში,ქუტირი,შპს.,,ჯეოჰოსპიტალსი“,შპს.,,ხვამლი“.), სს „საქართველს კლინიკები“ ხონის კლინიკა და რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი .



2012 წლიდანსამი ერთეულით გაიზარდა ამბულატორიების რაოდენობა. 2014 წლიდან 2024 წლამდე ასევე 58-დან 60-მდე გაიზარდა ექთნების რაოდენობა. თუმცა, 2016-2024 წლებში არსებულ მაჩვენებელთან შედარებით, თითქმის 20%-ით **შემცირებულია ექიმების რაოდენობა.**

1000 მოსახლეზე სამედიცინო პერსონალის რაოდენობით ხონის მუნიციპალიტეტი მკვეთრად ჩამორჩება ეროვნულ მაჩვენებლს, თუმცა ახლოსაა რეგიონის საშუალო მაჩვენებელთან.



საქსტატის თანახმად, 2022 წელს ჯანდაცვის პერსონალის რაოდენობა 1000 კაცზე იყო 8.5, თუმცა მუნიციპალიტეტის ინფორმაციით, 1000 კაცზე რეალურად არის 5,3 მედპერსონალი. ამასთსან, დაბალი ანაზღაურების გამო ექიმებს უწევთ რამდენიმე ადგილზე მუშაობა.

მუნიციპალიტეტში ჯანდაცვის მომსახურეობაზე ხელმისაწვდომობის ხარისხი შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. საჭიროების კუთხით ჯანდაცვის სფეროში, პრობლემატურია კლინიკების აღჭურვა **ულტრათანამედროვე ტიპის სადიაგნოსტიკო აპარატურით და ტექნიკით.** მუნიციპალიტეტში ჯანდაცვის სფეროში ძირითად პრობლემას წარმოადგენს ადგილზე **ჯანდაცვის გარკვეული სერვისების არარსებობა (რეაბილიტაცია-აბილიტაციის, აუტისტური სპექტის მქიონე ბავშვების მოსახურების).** კერძოდ რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამის სარგებლობის მიზნით ადგილობრივ მოსახლეობას **მომსახურეობის უწევს მიღება სხვადასხვა მუნიციპალიტეტში**, რაც დამატებით საბიუჯეტო **სახსრების** ხარჯვასთან არის დაკავშირებული (ტრანსპორტირების ხარჯები). აუტისტული სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო სერვისები ფინანსდება მუნიციპალური პროგრამით, მაგრამ იმის გამო რომ მშობლებს არ გააჩნიათ შესაბამისი სახსრები, **ხშირად ვერ ახერხებენ ბავშვების ტრანსპორტირებას სხვადასხვა მუნიციპალიტეტში.**

სსიპ სოციალური სააგენტოს მონაცემებით, 2012 წელს ხონის მუნიციპალიტეტში საარსებო შემწეობის (მიზნობრივი სოციალური დახმარების) მიმღები პირების რაოდენობა იყო **8800**, თუმცა 2024 წლის მდგომარეობით სოციალური დახმარების მიმღებია **5148 ბენეფიციარი.** ამდენად 41,5%-ითაა შემცირებული საარსებო შემწეობის მიმღები პირების რაოდენობა. თუმცა **სიღარიბე** კვლავაც უმთავრეს გამოწვევად რჩება: საარსებო შემწეობის მიმღები პირების რაოდენობა **ქალაქის მოსახლეობის 24%-ია,** რაც მნიშვნელოვნად აღემატება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს - **17,9%-ს.** ეს მონაცემი ბოლო ათი წლის განმავლობაში გარკვეული რყევებით ხასიათდებოდა. 2012 წლიდან 2024 წლამდე,



მოსახლეობის 55,5% სხვადასხვა სოციალური პაკეტის მიმღებია[5]. ხონის მუნიციპალიტეტში პენსიონერთა რაოდენობაა 5716 ანუ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის **20,4%-ია.** ეს მონაცემი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გაზრდილია 169 ერთეულით. სოციალური პაკეტის მიმღები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა შეადგენს 1341-ს „მარჩენალდაკარგულთა რაოდენობა - 115-ს, ხოლო პოლიტრეპრესირებულთა რაოდენობა - 0. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა** რაოდენობა შემცირებულია 87 პირით, ხოლო მარჩენალდაკარგულთა და პოლიტრეპრესირებულთა რაოდენობა შემცირებულია შესაბამისად 15 ერთეულით. ამასთან, **იძულებით გადაადგილებული პირთა** რაოდენობა, რომლებიც ღებულობენ დევნილთა შემწეობას, შეადგენს 1350 პირს, რომელიც ბოლო 3 წლის განმავლობაში შემცირებულია 20 პირით.

ხონის მუნიციპალიტეტში მარტოხელა მშობელი 115, მრავალშვილიანი ოჯახი 75- და ომის მონაწილე - 335 პირი.

ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული **სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის** კვების ვაუჩერის ქვეპროგრამით სარგებლობს 24, მცირე საოჯახო ტიპის სახლებით - 7, მოხუცთა თავშესაფრით - 14 ბენეფიციარი, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციით - 18, რაც არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე ძალიან ცოტაა და მომავალში აუცილებლობას წარმოადგენს შესწავლილ იქნას **სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების ინდივიდუალური საჭიროებები.**

იმის გამო, რომ სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის ცენტრი დღემდე არ იძლეოდა სრულ რეაბილიტაციას (მაგ. მასაჟები, ფსიქოთერაპია და ა.შ.), კვალიფიციური პერსონალი არარსებობის გამო, ხონში იხსნება **აუტისტული სპექტრის მქონე ბავშვების სარეაბილიტაციო ცენტრი,** რომელშიც იქნება ფსიქოლოგიც, თერაპევტიც და ყველა კადრი, რომლებმაც გაიარეს გადამზადება. ამის შედეგად, ის ბავშვები, რომლებიც რეაბილიტაციისთვის მიდიოდნენ ქუთაისში, ივლიან ხონში.

აღსანიშნავია, რომ ხონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი სოციალური პროგრამები მრავალფეროვანია და ყოველწლიურად მზარდია, რაც მეტწილადად ავსებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამების საჭიროებებს. **ხონის მუნიციპალიტეტი ახორციელებს შემდეგ 27 სოციალურ პროგრამას** (იხ. დანართი).

[5] სოციალური პაკეტის მიმღებ პირებს მიეკუთვნება სხვადასხვა ასაკობრივი და შეზღუდული შესაძლებლობის ხარისხის მქონე შშმ პირები, მარჩენალ დაკარგული ოჯახის წევრები, სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებნი, ვეტერანები, დევნილები და სხვა ჯგუფები.

იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, **განხორციელებული სოციალური პროგრამები მოსახლეობისთვის არასაკმარისია.** კერძოდ: **ხშირია შემთხვევები, როდესაც სოციალურად დაუცველ მოსახლეობას უჩერდება ან უწყდება სოციალური დახმარება,** რაც მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. **ახალი ქულის დათვლამდე, რაც დაახლოებით ორი თვე გრძელდება,** ოჯახებს უწევს თავის გატანა სოციალური შემწეობის გარეშე. დიდ პრობლემას წარმოადგენს ასევე შშმ პირების ტრანსპორტირებისთვის **ადაპტირებული ტრანსპორტის არარსებობა.** ასევე პრობლემას წარმოადგენს მუნიციპალიტეტში **შშმ პირების სტატუსის დადგენა,** რადგან კომისიისთვის პირი საჭიროებს ტრანსპორტირებას ქუთაისში ან სამტრედიაში, და შესაბამისი კვლევებისთვის საჭირო თანხა. პრობლემას წარმოადგენს **მუნიციპალური საცხოვრისის არარსებობა,** რომელიც შესაძლებელს გახდიდა მოქალაქეები დროებით განთავსებულიყვნენ აღნიშნულ საცხოვრისებში და არ მოუწევდეთ სხვადასხვა დაქირევებულ კერძო საცხოვრისებში განთავსება. აგრეთვე მუნიციპალიტეტი დაზოგავდა პროგრამისთვის გამოყოფილ ქირის თანხას.

1.5. განათლება, კულტურა და სპორტი

1.5.1. განათლებაზე ხელმისაწვდომობა

ხონის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს ზრუნვა განათლებული მომავალი თაობის და, შესაბამისად, განათლებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის. მუნიციპალიტეტში მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია ადრეული და სკოლამდელი და საშუალო განათლების დაწესებულებები. ამ საქმეს ემსახურება ადრეული და სკოლამდელი აღზრდის 20 დაწესებულება - 640 აღსაზრდელით, 25 საჯარო სკოლა - 3013 მოსწავლით და 1 კერძო გიმნაზია- 141 მოსწავლით.

2021--2023 წლების მონაცემებით მუნიციპალიტეტში **საბავშვო ბაღების** რაოდენობა არ შეცვლილა. ადაპტირებულია 7 საბავშვო ბაღი (30%), ენერგოეფექტურია 4 საბავშვო ბაღი (20%). რეაბილიტირებულია 7 საბავშვო ბაღი (30%).

ამჟამად, ორ საბავშვო ბაღში (ქალაქის N3, სოფ. მათხოჯი) მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები. ქალაქის N 3 საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელები სრულად არიან გადაყვანილები N1 საბავშვო ბაღის შენობაში, ხოლო სოფელ მათხოჯის აღსაზრდელების ნაწილი სკოლამდელი განათლების სერვისს იღებს სოფელ ნახახულევის საბავშვო ბაღში, ნაწილი კი - სოფელ საწულუკიძეოში.

ასევე, სატრანსპორტო მომსახურეობის სერვისით სარგებლობს გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულში შემავალი სოფელ ახალშენის N 1 საბავშვო ბაღი 2014 წლიდან. ამჟამად ტრანსპორტი ემსახურება 15 აღსაზრდელს.

2021, 2022 და 2023 წლებში მუნიციპალიტეტში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების სერვისით ისარგებლა 700, 750 და 680 აღსაზრდელმა. აღნიშნული მომსახურების სერვისის მიწოდების ხარჯები ერთ აღსაზრდელზე იყო - 47.10 , 58.23 და 64.20 ლარი, შესაბამისად.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მეტნაკლებად არის **ინფრასტრუქტურული პრობლემები.** სკოლამდელი აღზრდის სისტემაში მიმდინარეობს **ავტორიზაციის** პროცესი. ავტორიზაციის პირველი ეტაპი გახლდათ თვითშეფასების კითხვარების შევსება, რომელიც დაიწყო 2023 წელს და გაგრძელდება ყოველწლიურად. მეორე ეტაპზე უნდა მოხდეს იმ ბაღების შერჩევა, რომლებიც აკმაყოფილებენ ავტორიზაციის სტანდარტებს და ბაღები გადადიან ავტორიზაციის მომპოვებელთა სიაში. ავტორიზაციის სტანდარტებია: 1. დაწესებულებების მისია და სტრატეგიული განვითარება. 2. კურიკულუმი. 3. ოჯახისა და თემის ჩართულობა. 4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა.

ოთხივე სტანდარტის დაკმაყოფილების შემთხევაში ბაღს ეძლევა ავტორიზირებულის სტატუსი და ხდება დამოუკიდებელი ერთეული.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის თანახმად, საბავშვო ბაგა-ბაღების ჯგუფებში **აღმზრდელებისა და აღსაზრდელების თანაფარდობა** ასეთია: 2- 3 წლამდე ასაკის ჯგუფში - 1:13; 3-4 წლამდე ასაკის ჯგუფში - 1:15 ; 4-5 წლამდე ასაკის ჯგუფში - 1:15; 5-6 წლამდე ასაკის ჯგუფში - 1:15. რაც შეეხება ხონის მუნიციპლიტეტში არსებულ ფაქტობრივ სიტუაციას, ეს მოცემულობა დაცულია სოფლების საბავშვო ბაღებში. ქალაქის N 2 და N 1 საბავშვო ბაღში **სტანდარტი ირღვევა ბავშვების სიმრავლიდან გამომდინარე.** ზოგ შემთხვევები ჯგუფში არის 30 ბავშვი, რომლებთანაც მუშაობს 1 აღმზრდელი და 1 აღმზრდელის თანაშემწე.

ადრეული აღზრდისა და განათლების ან /და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები **არაერთი პრობლემის წინაშე დგას:** სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ,,თამაშით" წარმართვა დიდ გამოწვევას წარმოადგენს. ასევე პრობლემაა კურიკულუმით გათვლისწინებული შესაბამისი გარემოს მოწყობა და საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, არსებული მდგომარეობა სტანდარტების მოთხოვნასთან დამაკმაყოფილებელ მაჩვენებელს ვერ აღწევს.

,,აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტით" გათვალისწიენბული საკვალიფიკაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად დაწყებულია აღმზრდელთა გადამზადება.

აღნიშნული გამოწვევები, რომლებსაც სტანდარტები ითვალისწინებს, 2030 წლამდე ეტაპობრივად განხორციელდება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ფინანსური მხარდაჭერითა და თანადგომით.

სკოლამდელი ასაკის ბავშვების მხოლოდ 53% სარგებლობს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებით.

ხონის მუნიციპალიტეტში, 12 ადმინისტრაციულ ერთეულში ფუნქციონირებს 25 **საჯარო სკოლა** და ერთი კერძო სკოლა. განათლება ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. მათ გადაეცემათ უფასო სახელმძღვანელოები, შეუძლიათ მონაწილეობის მიღება უფასო კონკურსებში, ოლიმპიადებში, პროექტებსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობაში. ,,საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამით" მოსწავლეთა ტრანსპორტირება, ამჟამად, ხორციელდება სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ 12 საჯარო სკოლაში, 33 მიმართულებით.

2021, 2022 და 2023 წლებში მუნიციპალიტეტში სკოლების რაოდენობა არ შეცვლილა. ადაპტირებულია - 11; რეაბილიტირებულია (2 სკოლა) - 8%; მოსწავლეთა რაოდენობა აღნიშნულ წლებში იყო 2783, 2933 და 3013. სკოლის მიღმა დარჩენილია 1 ახალგაზრდა.





პროფესიულ სასწავლებელში 2021 - 2022 წლებში ჩაირიცხა 4 მოსწავლე, ხოლო 2023 წელს - 5. ხონის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთი - ხონის ტექნიკური შემოქმედების გიმნაზია.



ინფრასტრუქტურული მდგომარეობა-შენობა სარემონტოა, ადაპტირებულია.

1.5.2. არაფორმალური განათლება, კულტურა

არაფორმალური განათლების მხარდაჭერის მიზნით ხონის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს - ა(ა)იპ ხონის ვეტა ჩხენკელის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპ ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი, ა(ა)იპ ინფორმატიკის ცენტრი, სადაც, სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად, ხორციელდება ახალგაზრდობის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა, ფორმირება და სრულყოფისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; სკოლისგარეშე საგანმანათლებლო საქმიანობის ფარგლებში სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობის ორგანიზება, სასწავლო ერთეულების ხელმისაწვდომობა;

ა(ა)იპ ხონის ვეტა ჩხენკელის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში ფუნქციონირებს 10 წრე, 3 კლუბი, 4 სტუდია, 4 ანსამბლი და 1 თოჯინების თეატრი. მასში ირიცხება 450 მოსწავლე, მათ შორის 234 ბიჭი და 216 გოგო. მათი 60% არიან ქალაქ ხონიდან, ხოლო 40% - სოფლებიდან.



ა(ა)იპ ხონის ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი სკოლისგარეშე სასწავლო - საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ემსახურება მოზარდთა არასასწავლო თავისუფალი დროის გონივრული გამოყენებისა და სკოლისგარეშე დამატებითი განათლების-არაფორმალური განათლების საქმეს. ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლში არსებული წრეების ჩამონათვალია: დიზაინის, გამოყენებითი ხელოვნების, ფოლკლორის, მხატვრული კითხვის, ქსოვის, ფოტომოყვარულთა და თოჯინების წრეები.



მოსწავლეთა კომპიუტერული პროგრამებისა და ინგლისური ენის შესწავლას ემსახურება ა(ა)იპ ხონის ინფორმატიკის ცენტრი, რომლის მიზანია, მოსწავლე -ახალგაზრდობაში ინგლისური ენისა და კომპიუტერის ცოდნის დონის ამაღლება. პრიორიტეტი ენიჭებათ სოციალურად დაუცველ ბავშვებს.



კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას, მეწარმეობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, დანაშაულის პრევენციას, კულტურული დიპლომატიის განვითარებას. სასურველია, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას იმისათვის, რომ კულტურა და სპორტი უფრო მეტად ინტეგრირდეს მოსახლეობაში.

მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც კულტურის სამსახურის მიერ, ისე კულტურის სფეროს შესაბამისი აიპ-ების მიერ. სამსახური ახორციელებს განათლების მიმართულებით 1 პროგრამას, კულტურის მიმართულებით 1 და სპორტის მიმართულებით 1 პროგრამას. ბოლო 2-3 წლის მანძილზე საგრძნობლად გააქტიურდა კულტურული ცხოვრება, რაც შესაბამისად აისახა ადგილობრივ ბიუჯეტში. წინა წლებთან შედარებით, გაიზარდა ღონისძიებების დაფინანსება, შესაბამისად, იმატა ღონისძიებაზე დამსწრეთა რაოდენობამ.

მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში წამყვანი ადგილი უჭირავს ა(ა)იპ კულტურის ცენტრს, რომელშიც ფუნქციონირებს 158 წლიანი ისტორიის მქონე სახალხო თეატრი, ბავშვთა ნიღბების თეატრი, თოჯინების თეატრი, ლიტერატურული თეატრი, მხატვრული კითხვის წრე, სასულე ორკესტრი, ფოლკლორული ანსამბლი.

ა(ა)იპ კულტურის ცენტრის შენობა რეაბილიტირებულია.



კულტურული ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით, ხონის მუნიციპალიტეტის ორ სოფელში: მათხოჯსა და გუბში ფუნქციონირებს კულტურის სახლები, ხოლო დედალაურში, გ/ჯიხაიშში, პ/ჯიხაიშში, კუხში და კონტუათში - სასოფლო კლუბები.



დასახელებული კულტურის სახლებიდან რეაბილიტირებულია - ერთი და ასევე ერთია ადაპტირებული (გუბი).



მუსიკალური და სახვითი ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით, ხონის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სახელოვნებო - სკოლისგარეშე დაწესებულებები: ა(ა)იპ სამუსიკო სკოლა და ა(ა)იპ დავით კაკაბაძის სახელობის სამხატვრო სკოლა. სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი განყოფილებები: საფორტეპიანო, სასულე-სიმებიანი, თეორიული. მუნიციპალიტეტში დგას სავიოლინი კლასის გახსნის საჭიროება. ასევე, პრობლემური საკითხია სამუსიკო სკოლაში საკონცერტო როიალები და სამეცადინო ინსტრუმენტები (ფორტეპიანო, საყვირი), რომლებიც 8-9 ათეული წლების წინაა შეძენილი და საჭიროებენ **განახლებას.** 2023 წლიდან ფუნქციონირება დაიწყო ფოლკლორულმა განყოფილებამ, სადაც მოსწავლეები ეუფლებიან ხალხურ საკრავებზე დაკვრას.



სამუსიკო სკოლის დაფინანსება წლების მიხედვით ასეთია: 2021 წ.-230 000 ლარი, 2022 წ.-230 460 ლარი, 2023წ.- 301 700 ლარი.

ა(ა)იპ დავით კაკაბაძის სახელობის ხონის სამხატვრო სკოლაში ისწავლება შემდეგი საგნები: გრაფიკა (ხატვა), ფერწერა, კომპოზიცია, ძერწვა (კერამიკა), თექა (ხალხური რეწვა), ხელოვნების ისტორია.





ხონის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ისტორიული მუზეუმი, რომლის დაქვემდებარებაშიც შედის პოლიკარპე კაკაბაძისა და ირაკლი აბაშიძის სახლ-მუზეუმები. წინა წლებთან შედარებით, ექსპონატთა რაოდენობა გაიზარდა და 2023 წლისთვის საერთო რაოდენობამ 24 450- ს მიაღწია.

ეტაპობრივად წესრიგდება მუზეუმის ინფრასტრუქტურა, ტარდება სარემონტო - სარეაბილიტაციო სამუშაოები; ყოველივე ეს ხელს უწყობს ვიზიტორთა რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას.



ახალგაზრდობასთან დაახლოების მიზნით, მუზეუმში შექმნილია მოსწავლეების გუნდი ,,მუზეუმელები“ (სულ 20 ბავშვი, სხვადასხვა სკოლიდან, მათ შორის, 4 შშმ პირი). მათი მიზანია მუზეუმის პოპულარიზაცია, ხონის ისტორიის შესწავლა. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებაში.



გამოწვევები კულტურისა და არაფორმალური განათლების სფეროში: **დაბალი ანაზღაურება,** რაც უშუალო კავშირშია ღონისძიების მომზადების ნაკლებ ხარისხზე; სოფლად მცხოვრები **ახალგაზრდების ჩართულობისათვის შენობების არარსებობა,** ან - **სარეაბილიტაციო სასოფლო კლუბები;** ტექნიკისა და საჭირო **ინვენტარის დეფიციტი.**

მუნიციპალიტეტი საჭიროებს შესაბამის ფინანსურ დახმარებას, რათა ჩამოყალიბდეს მუნიციპალური ქორეოგრაფიული ანსამბლი; გარე სივრცითი ღონისძიებებისათვის დგას საჭიროება მუნიციპალიტეტს ჰქონდეს **სცენა შესაბამისი განათებითა და მუსიკალური აპარატურით.**

1.5.3. სპორტი

ხონის მუნიციპალიტეტის ამბიციაა ხონი გახდეს სპორტული აქტივობების ჰაბად, სადაც რეგულარულად ჩატარდება მასობრივი სპორტის ღონისძიებები.

ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ხონის მუნიციპალიტეტში ემსახურება სპორტული ცხოვრების გააქტიურება; მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღება, სპორტის განვითარების მიზნით, სხვადასხვა პროექტის/პროგრამის შემუშავება და მათი რეალიზება, სპორტის სფეროში

პრიორიტეტების განსაზღვრა, წინადადებების მომზადება, სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამებისა და გეგმების შემუშავება, მათ განხორციელებაში მონაწილეობის მიღება, წარმატებული სპორტსმენების, მწვრთნელების, გუნდების, ვეტერანი სპორტსმენების წახალისება, ხელშეწყობა და დაჯილდოება;

ხონში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა - 10 სახეობის სპორტული ჯგუფით, 404 აღსაზრდელითა და 23 მწვრთნელით. ეს ჯგუფებია: ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, კარატე, კარატე დო, კრივი, ტაეკვანდო, ძალოსნობა, ჭადრაკი და თავისუფალი ჭიდაობა. ასევე არის ჯგუფები ადმინისტრაციულ ერთეულებში: სოფ გორდში - კინბოქსის ჯგუფი და სოფ. ქუტირში - ტაეკვანდოს ჯგუფი. აღნიშნულ ჯგუფებში ჩარიცხული მოსწავლეები პერიოდულად მონაწილეობას ღებულობენ როგორც საქართველოს მასშტაბით გამართულ ტურნირებსა და ფესტივალებში, ასევე საერთაშორისო ეგიდით გამართულ ჩემპიონატებში.





მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ,,იმერეთი“.აღნიშნული კლუბი მონაწილეობას ღებულობს რეგიონულ ლიგაში (ფეხბურთში). კლუბი დაფინანსდა ფეხბურთის განვითარების ფონდიდან 50 000 ლარით.

სპორტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობა: მოსე ხონელის ქუჩაზე არსებული საფეხბურთო ბაზა - სრულად სარეაბილიტაციო; საჭადრაკო კლუბი - სრულად სარეაბილიტაციო; თ/ჭიდაობის სავარჯიშო სივრცე - სრულად სარეაბილიტაციო (სასურველია, ახალი სივრცის მოწყობა); ძალოსნობის დარბაზი - მიმდინარეობს რეაბილიტაცია და ასევე, სასურველია, სასპორტო სკოლის მთლიანი შენობის რეაბილიტაცია. ასევე, სრულ რეაბილიტაციას ექვემდებარება ხონის ცენტრალური სტადიონი.

1.6. გარემოს დაცვა

ხონი ზღვის ნოტიო, სუბტროპიკული კლიმატის ოლქში მდებარეობს და რელიეფის შესატყვისად ჰავის სიმაღლებრივი ზონალურობით ხასიათდება. ვაკე–დაბლობზე თბილზამთრიანი და ცხელზაფხულიანი ზღვის ნოტიო, სუბტროპიკული ჰავაა, სადაც საშ. წლიური ტემპერატურაა +14.3°, იანვარი +5°, აგვისტო +23.4° ÷ +23.6°; აბსოლუტური მინიმალური -18°,-19°, აბსოლუტური მთისწინეთში და დაბალმთიან ზონაში ასევე ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა, ხასიათდება მცირე ზამთარითა და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით. აქ ზღვის დონიდან 700 მეტრამდე, საშუალო წლიური ტემპერატურა +11.7° ÷ +12.4°- ის ფარგლებშია, იანვარში -2.9 ÷ -3.5°, აგვისტო +21°; აბსოლუტური მინიმალური -19°, აბსოლუტური მაქსიმუმი +38°. მაქსიმალური +41°. ვაკე დაბლობზე საშუალოდ წელიწადში 1460-1790 მმ ნალექი მოდის. წელიწადში 2280-2400 მმ ნალექი მოდის. საშუალო მთიან ზონაში ცივზამთრიანი და ხანგრძლივ გრილზაფხულიანი ნოტიო ჰავაა. ასეთივე ჰავაა რაიონის ყველაზე მაღალ ადგილებში–ასხის პლატოზე, იმ განსხვავებით, რომ იქ ზაფხული მოკლეა, ამასთან, საშუალო მთიან ზონაში ნალექები უფრო უხვია, ვიდრე მთისწინეთსა და დაბალმთიანეთში.

მთის ზონა ტყეებითა და ბუჩქნარებითაა დაფარული და თავისი ხასხასა მდელოებით, უმშვენიერესი წყაროებითა და ფოთლოვანი ტყეებით, ზღაპრული სილამაზის მთებითა და ჩანჩქერებით საუკეთესოა ტურიზმისა და დასვენებისათვის. განსაკუთრებით საინტერესოა ასხის ალპური მთა (ზეგანი), მდინარე ოკაცეს წყალვარდნილები და კანიონი, ცხენისწყლის ხეობა და სხვა.

ხონის ტერიტორიაზე გამდინარე მდინარეებიდან ყველაზე წყალუხვია ცხენისწყალი და გუბისწყალი. პატარა მდინარეებიდან აღსანიშნავია: ოკაცე, ნაბეჩო, ღალდა, მეჭია, ღარჩელა, სუხჩელა, კუხა, სემი, რაჩხა, ტობი და სხვა. მდინარეებში გავრცელებულია თევზის ჯიშები: წვერა, ქაშაყი, საველა, ტოფი, კალმახი, ღორჯო და ნაფოტა და სხვა.

ხონის მთისწინა და მთის სოფლებში მრავლადაა წყაროები. მათ შორისაა ძველი ცნობილი წყაროები: მთავრის წყარო (1832 წ.) და დედოფლის წყარო (XIX ს.) გორდის ტყე პარკში, პატარა ჯიხაიშის ღოღობერიძეების წყარო (XVI ს.), სოფელ ხიდში წყარო ბინური (გიგას წყარო), სოფელ მათხოჯის წყარო და სხვა.

მთის მიკროზონა, ფოთლოვანი ტყეებითა და ბუჩქნარითაა დაფარული. აღსანიშნავია კინჩხაში კუთხის, გორდში თურჩუს და სხვა ტყეები, რომლებშიც იზრდება მუხა, ცაცხვი, წაბლი, წიფელი,ველურიმსხალი,ბალამწარა,მაჟალო,ლეკა,თხმელა, კაკალი,ნაძვი,ფიჭვი,აკაცია, ტირიფი, ბზა და სხვა. აქ უხვადაა კენკროვანი და სამკურნალო მცენარეები.

მუნიციპალიტეტის საზღვრებში არის 20000 ჰექტარი სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწა. მთის მიკროზონა , ფოთლოვანი ტყეებითა და ბუჩქნარითაა დაფარული.აღსანიშნავია კინჩხაში კუთხის, გორდში თურჩუს და სხვა ტყეები, რომლებშიც იზრდება მუხა, ცაცხვი, წაბლი, წიფელი,ველური მსხალი,ბალამწარა, მაჟალო, ლეკა, თხმელა, კაკალი, ნაძვი, ფიჭვი, აკაცია,

ტირიფი, ბზა და სხვა. აქ უხვადაა კენკროვანი და სამკურნალო მცენარეები. ტყეებში ბინადრობს კურდღელი, ციყვი, მგელი, ტურა , მელა, დათვი.

1.6.1. სტიქიური და ბუნებრივი რისკები

გარემოს დაცვის კუთხით მრავალი **რისკი** არსებობს: - ჰაერის დაბინძურება გამონაბოლქვით; ნარჩენების მართვის პრობლემა; პესტიციდებით, მძიმე მეტალებით და რადიაქტიული ნივთიერებებით დაბინძურების პრობლემა; პრობლემური ნიადაგების დეგრადაცია და ეროზია; წყლის და კანალიზაციის გაუმართავი სისტემების არსებობა; მინერალების ღია კარიერული წესით მოპოვება; ტყის და ბიომრავალფეროვნების დაუცველობა და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის მუნიციპალიტეტში მსხვილი საწარმოები არ მუშაობენ და ძირითადად ფუნქციონირებენ მცირე დაბინძურების ობიექტები, საკმაოდ **მაღალია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება.** ყოველივე ამის მიზეზია გამწმენდი მოწყობილობებია არარსებობა. იმის გამო რომ მდინარე ცხენისწყლის აუზის კარიერებიდან ინერტული მასალის ღია გადაზიდვა ხდება ავტოტრანსპორტით, მაღალია დასახლებული პუნქტის დაბინძურების მაჩვენებელი.

წყალდიდობა, მეწყერი, გვალვები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძირითადად არის წყალდიდობის, წყალმოვარდნის, გვალვის, ქარისა და მეწყერული მოვლენების კატასტროფების რისკები. გვალვისაგან გარემოზე მიყენებული ზიანის სალიკვიდაციოდ საჭიროა სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის რეკონსტრუქცია. მოსაწყობია ჰიდროტექნიკური ნაგებობები, ხიდბოგირები, წყლის ჩამკეტი გამშვები ფარები. მთლიანად მუნიციპალიტეტში მოსაწყობია და გასაწმენდია სანიაღვრე არხები. იმის გამო, რომ მდინარე ცხენისწყლის კალაპოტში არ ხდება კალაპოტის გასწორხაზოვნება (კალაპოტისფორმირება),რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს მდინარის კალაპოტის ცვლილებას, წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების რისკი მუნიციპალიტეტში დიდია. სხვადასხვა წლებში მდინარე ცხენისწყლის ადიდებისა და კალაპოტის ცვლილების გამო ხდებოდა სასოფლო-სამეუნეო სავარგულებისა და საძოვრების მიტაცება სოფლებში: მათხოჯში, ნახახულევში, კონტუათში, ქუტირში, გვაზაურში, ძეძილეთში და ღვედში. მუნიციპალიტეტი საჭიროების შესაბამისად სისტემატიურად ახორციელებს ნაპირსამაგრ სამუშაოებს.

ბოლო წლების განმავლობაში ქარის მიერ რამოდენიმეჯერ დაზიანებული იქნა საცხოვრებელი სახლების სახურავები. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ დაზიანებული საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციისათვის მუნიციპალიტეტმა განახორციელა სახურავის მასალების შესყიდვა და დაზარალებულებისათვის გადაცემა.

2023 წლის 13 მარტს კინჩხის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. კინჩხაფერდში ლეხუმის უბანში მეწყული პროცესების შედეგად დაიმეწყრა დაახლოებით 250 ჰა ფართობი-სათიბები, ტყის მასივები და საკარმიდამო მიწის ნაკვეთები. დაზიანდა ორი ოჯახის საცხოვრებელი სახლები. შედეგად ორივე ოჯახი გადმოსახლებული იქნა.

1.6.2. ნარჩენების მართვა და დასუფთავება

მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად აქტიურად მიმდინარეობს გარემოსდაცვითი დღეების აღნიშვნა, რომელშიც ქალაქისა და სოფლების ტერიტორიების დასუფთავების მიზნით საჯარო მოხელეებთან ერთად მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი მაცხოვრებლები და მუნიციპალური ა(ა)იპ-ების წარმომადგენლები.

გარემოს დაბინძურებაში ასევე დიდი წვლილი აქვს ნარჩენების პრობლემას, **კერძოდ სტიქიური ნაგავსაყრელების** არსებობას. სტიქიური ნაგავსაყრელების უმეტესობა განთავსებულია მდ.

ცხენისწყლის სანაპირო ზოლის გასწვრივ. ამდენად, მდინარის დაბინძურება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხშირად ადგილი აქვს საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემცველი არასანქცირებული მცირე ნაგავსაყრელების წარმოქმნას, რომლებიც სისტემატიურად სუფთავდება ა(ა)იპ ხონის კომუნალური სერვის ცენტრის მიერ. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის რამდენიმე **არასანქცირებული ნაგავსაყრელი,** რომლებიც წარმოქმნილია სტიქიურად იმ ადგილებში, სადაც ჯერ კიდევ ვერ ხერხდება შესაბამისი მუნიციპალური სერვისის სრულყოფილი მიწოდება.

ნარჩენების სეპარირებისა და გადამუშავების ორგანიზებული საქმიანობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამ ეტაპისათვის არ ხორციელდება. ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის 2016-2030 წლებისა და ნარჩენების მართვის 2023-2027 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესაბამისად შექმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმაში დასახული ამოცანების შესასრულებლად მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის არეალის სრული დაფარვის მიზნით დამატებით დგას **ორი 13მ³-იანი ნაგავმზიდი ავტომანქანის და სეპარირებისათვის ერთი პლასტიკის შემგროვებელი მანქანის საჭიროება.** მუნიციპალიტეტი, ნარჩენების მართვის გეგმის ამოცანების შესრულების მიზნით, უახლოეს მომავალში გეგმავს პლასტიკის გადამუშავებას, რისთვისაც გამოიყენებს „იმერეთის მეცნიერთა კავშირი სპექტრი“-ს მიერ გადმოცემულ პლასტიკის საპრეს მოწყობილობას.

მუნიციპალიტეტში არ ხორციელდება სახიფათო ნარჩენების განცალკევებული შეგროვება, ამდენად, არ არის ცნობილი რა რაოდენობით წარმოიქმნება ამ სახის ნარჩენები. ასეთი სახის სახიფათო ნარჩენები საბოლოოდ სხვა მუნიციპალურ ნარჩენებთან ერთად ხვდება ნაგავსაყრელზე ან გარემოში იქ, სადაც ჯერ კიდევ არ ხორციელდება ნარჩენების შეგროვების მუნიციპალური სერვისების მიწოდება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ინერტული ნარჩენების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება. ვინაიდან, მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ინერტული ნარჩენების პოლიგონი, გაურკვეველია ისიც, თუ რა რაოდენობის ინერტული ნარჩენები ხვდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერში. როგორც წესი, მცირე ზომისა და მოცულობის სამშენებლო და ნგრევის ნარჩენებს მოსახლეობა ათავსებს საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში. ძალიან ხშირად დიდი მოცულობის ინერტულ ნარჩენებს მოსახლეობა დამოუკიდებლად იცილებს და ეს ნარჩენები, როგორც წესი, გარემოში ხვდება. ასეთი ადგილები ხშირად ხდება არასანქცირებული ნაგავსაყრელების წარმოქმნის მიზეზი. ინერტული ნარჩენების პოლიგონის შექმნას მუნიციპალიტეტი უახლოეს მომავალში გეგმავს.

მუნიციპალიტეტის სფეციფიკიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ წარმოქმნილი ნარჩენების არანაკლებ 40% მიეკუთვნება ბიოდეგრადირებად ნარჩენებს. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტში კარგად არის განვითარებული სოფლის მეურნეობა, კომპოსტირება ჯერ კიდევ არ არის შესაბამისად გავრცელებული. თუმცა ცნობილია ცალკეული ფერმერული მეურნეობები, სადაც გამოიყენებენ კომპოსტირების ინდივიდუალურ მეთოდებს.

1.6.3. განახლებადი ენერგია

ხონის მუნიციპალიტეტის დაკვეთით ჩატარდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განახლებადი ენერგიის წყაროების კვლევისა და მათი პოტენციალის შეფასების. კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ტოპოგრაფიული რუკები და ორთოფოტოგეგმების, მუნიციპალიტეტის მდინარეების ჰიდროლოგიური მახასიათებლები, ქარის და მზის ენერგიის ბუნებრივი მოდინების რეჟიმების, სამშენებლო კლიმატური პირობები და პოტენციური ელექტროსადგურების და ცალკეული ნაგებობების სამშენებლო მოედნების ტოპოგეოლოგიური პირობები.

კვლევით დადგინდა, რომ ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს განახლებადი ენერგიის შემდეგი წყაროები: ჰიდრო ენერგია - ერთი დიდი მდინარის - ცხენისწყლისა და რამდენიმე მცირე მდინარის სახით; ქარის ენერგია - მუნიციპალიტეტის სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე; მზის ენერგია - მუნიციპალიტეტის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაზე.

ხონის მუნიციპალიტეტს გააჩნია 20 მვტ სიმძლავრის ქარის ელექტროენერგიის გენერაციის პოტენციალი. სოფელ გვაზაურის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე ცხენისწყლის გასწვრივ, უახლოესი მოსახლიდან მინიმუმ 1კმ-ის დაშორებით, შესაძლებელია დამონტაჟდეს 3 ან 4 ერთეული ქარის დანადგარი 5-6 მვტ სიმძლავრის. სადგურის სავარაუდო სიმძლავრე მივიღეთ 20 მვტ (გადაწყდება პროექტირების ეტაპზე).

ხონის მუნიციპალიტეტში, მზის ენერგია შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც ცხელი წყლით მომარაგების, ისე ელექტროენერგიის წარმოების მიზნებისათვის. "SOLAR GIS" პროგრამის გამოყენებით გაკეთებული დაანგარიშებით, ხონის ტერიტორიაზე მზის ელექტროსადგურის სიმძლავრის ეფექტურობის სავარაუდო მაჩვენებელია 1 320 სთ/წ, რაც მაღალი მაჩვენებელია. ხონის ტერიტორიაზე, სოფ. ნახახულევის და სოფ. ახალბედისეულის მიმდებარე ტერიტორიაზე, 90 ჰა-ზე შესაძლებელია მოეწყოს ჯამურად 45 მვტ სიმძლავრის მზის ელექტროსადგურები, რომლებიც წელიწადში იძლევა 56,250 მილიონ კვტ.სთ ენერგიას.

ხონის მუნიციპალიტეტის მდინარეების, რომელიც გამოირჩევა მაღალი დახრილობით (ოკაცე, ლუხმელა, უსახელო მდინარე სოფ. ხიდთან, ცხენისწყალი სოფ. მათხოჯთან, სუხჩელა, ღარჩელა, კუხი) გამოყენებით ჰესების მშენებლობა ეკონომიკური თვალსაზღვისით გამართლებულია. ხასიათდებიან მაღალი ეფექტიანობის ენერგეტიკული პოტენციალით. ამ მდინარეებზე მცირე ჰესებს შეუძლია შექმნას 1,412 სიმძლავრე კვტ-ებში და გამოიმუშაოს წლიური გენერაცია 9,450,000 მლნ. კვტ.სთ-ის ოდენობით.

ჯამში, ხონის მუნიციპალიტეტში განახლებადი ენერგიის წყაროებიდან (მცირე ჰესები, მზის სადგურები, ქარის სადგურები) შესაძლებელია 66,412 კვტ, სიმძლავრის მიღება, რომელიც წელიწადში გამოიმუშავებს 142 მლნ. კვტ.სთ ელექტროენერგიას.

1.6.4. მიუსაფარი ცხოველები

პრობლემად რჩება მიუსაფარ ცხოველთა მოვლა-პატრონობა. დღევანდელი მდგომარეობით ხორციელდება ცხოველთა აცრა, კასტრაცია, მაგრამ მიუსაფარ ცხოველთა რაოდენობა ყოველდღიურად იმატებს, საჭიროა რეგიონალურ დონეზე პრობლემის მოგვარება და თავშესაფრის აშენება.

1.7. მუნიციპალური სერვისები და მმართველობა

2020 წელს ხონის მუნიციპალიტეტი „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP)_ ლოკალურ წევრად აირჩიეს[6]. ღია მმართველობის კუთხით განხორციელებული ინოვაციური ინიციატივები და სამოქალაქო საზოგადოებასთან წარმატებული თანამშრომლობა ამ გადაწყვეტილების ერთ-ერთი საფუძველი გახდა და მას შემდეგ, ამ კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.
მუნიციპალიტეტის მერიასა და 12 ადმინისტრაციულ ერთეულში მოქმედებს **დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**. აღნიშნული სისტემის დახმარებით მოქალაქეებთან კომუნიკაცია მნიშვნელოვნად გამარტივდა - ქაღალდის დოკუმენტები მთლიანად ელექტრონულით ჩანაცვლდა, შემცირდა მომსახურების დრო, სერვისების მიწოდების პროცესი კი სრულყოფილი და ეფექტური გახდა, ამოქმედდა დოკუმენტების ელექტრონული არქივი და შემოსული განაცხადების

[6] https://www.opengovpartnership.org/members/khoni-georgia/

შესრულებისა და კონტროლის მექანიზმები. ამასთანავე, პროგრამის ერთიანი ელექტრონული ბაზის დახმარებით, ორგანიზაციებს შორის **დოკუმენტების მიმოცვლა სრულად ავტომატიზებული გახდა,** რაც ამცირებს მათ ფინანსურ და დროით ხარჯებს, საქმიანობას კი კიდევ უფრო ეფექტურს ხდის. მოქმედებს **მერიის ვებ-გვერდი** (KHONI.GOV.GE), ფეისბუქ გვერდი და მერიის დაქვემდებარებაში მყოფი **ა(ა)იპ ხონის საინფორმაციო ცენტრი,** სადაც დაინტერესებული საზოგადობა მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვან სიახლეებს ეცნობა.

პრობლემა წარმოადგენს **მოძველებული მატერიალურ ტექნიკური ბაზა და არასაკმარისი კომპიუტერული ტექნიკა,** რაც პროლემებს იწვევს მუშაობის პროცესში. შეფერხებით მუშაობს მუნიციპალიტეტის ვებ გვერდი და საჭიროებს **მოდერნიზებას.**

1.8. მოსახლეობის გამოკითხვა

მუნიციპალიტეტის საჭიროების პროცესში შესწავლილ იქნა ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების მოსაზრებები ონლაინ გამოკითხვის გზით. გამოკითხვა განხორციელდა 2024 წლის ივნისის პირველ ნახევარში. კითხვარი შეავსო 675 ადამიანმა. თუმცა მონაცემების გასუფთავების შედეგად დარჩა 660 პასუხი. გამოკითხვა გავრცელდა მერიის ფბ გვერდის და ხონის თემატურ ფბ გვერდების საშუალებით. გამოკითხვის პასუხებთან ერთად ხარისხობრივად გაანალიზდა მერიის ფბ გვერდზე 112 კომენტარი, ხოლო ფბ გვერდ „ხონის ფორუმზე“ 107კომენტარი.
გასათვალისწინებელია, რომ კვლევის დროს არ გამოყენებულა შემთხვევითი შერჩევა და ზოგ ჯგუფში საკმარისი ზომის შერჩევა. კვლევაში პროცენტები შეიძლება არ ასახავდეს რეალურ პროცენტებს, ანუ მისი განზოგადება ვერ მოხდება. თუმცა 660 ადამიანი იძლევა საკმარის და უტყუარ ინფორმაციას **ყველაზე გავრცელებული პრობლემების/პრიორიტეტების შესახებ.**



გამოკითხვის შედეგები:

- მიუსაფარი ცხოველების პრობლემა არის N1 და თანაბრად აწუხებთ როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობას. აწუხებთ ყველაზე მეტად ხონის ახალგაზრდებს და ქალებს, შედარებით ნაკლებად კაცებს და პენსიონერებს, მაგრამ მათთვისაც კი N1 პრიორიტეტია
- გასართობი ცენტრები N2 პრიორიტეტია მთლიანად და ხონში.
- სოფლებში N2 პრიორიტეტია საზ.ტრანსპორტი, შემდეგ შიდა გზები და ინტერნეტი. ამის შემდეგ გასართობი ცენტრები.
- ნაგვის ურნები მე-3 პრიორიტეტია მთლიანად და ხონშიც. კანალიზაციის პრობლემა უფრო მეტად აწუხებთ ქალაქში
- კანალიზაცია და სანიაღვრე არხები უფრო მეტად აწუხებთ პენსიონერებს (ეს უკანასკნელი საშუალო ასაკის მაცხოვრებლებსაც)



1.9. SWOT ანალიზი

სიტუაციის ანალიზის ფარგლებში სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ გაანალიზდა მუნიციპალიტეტის ძლიერ მხარეები, სუსტ მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, რომლებიც დგას ხონის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინაშე. დისკუსიის შედეგები შეჯამდა SWOT ცხრილში და დაერთო სიტუაციის ანალიზს:

ხონის მუნიციპალიტეტების SWOT ანალიზის შედეგების ცხრილი	
ძლიერი მხარეები	**სუსტი მხარეები**
• ზომიერი ხელსაყრელი კლიმატი • მრავალფეროვანი რელიეფი (ბარი, მთა) • ხელსაყრელი მდებარეობა (სიახლოვე ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტებთან, ფოთის პორტთან, რკინიგზის სადგურთან და რამდენიმე რეგიონის გზაგასაყარზე) • მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მათ შორის სახელმწიფო მნიშვნელობის და მუნიციპალური გზები • კომუნალური მომსახურების ხელმისაწვდომობა/დაფარვა (ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი, წყალი, მობილური კავშირგაბმულობა, ინტერნეტი) • საინტერესო ისტორია (მაგ. სასულიერო სემინარია) • სავაჭრო ცენტრი, მრავალი ქსელური მაღაზიით და აგრობაზრობებით • ძლიერი მცირე წარმოება, განსაკუთრებით ავეჯის საამქროები • მრავალფეროვანი ბუნებრივი ძეგლები (კანიონები, მღვიმეები) და ისტორიული ძეგლები • ზრდასრულთა გადამზადების ცენტრის არსებობა • ეფექტური და მოქნილი ადგილობრივი მმართველობითი ინსტიტუტები • OGP-ის და სხვა საერთაშორისო ქსელების წევრობა	• მცირე მიწიანობა • მწირი ბუნებრივი რესურსები • ფინანსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა • სოფლის მეურნეობაში ტექნოლოგიების ნაკლებობა • მაღალი ხარჯები ბიზნესისთვის • დაბალკვალიფიციური და მცირე რაოდენობის მუშახელი • არასრული საკანალიზაციო ქსელი • მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობა • ტურისტების მიერ გატარებული დღეების ნაკლებობა • სასტუმროების და განთავსების ადგილების ნაკლებობა • ტურიზმის სექტორში მომსახურების და უნარების დაბალი დონე • მაღალმთიან დასახლებებში ინტერნეტის დაბალი დაფარვა • მაღალმთიან დასახლებების გაზიფიკაციის არარსებობა • სოფლის მეურნეობისადმი მოსახლეობის დაბალი ინტერესი • მუნიციპალიტეტის დაბალი ტურისტული ცნობადობა • ნაკლებად განვითარებული სპორტული ინფრასტრუქტურა • გაუმართავი საირიგიცაიო სისტემა • მოსახლეობის უმუშევრობისა და სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი • მოწყვლადი ჯგუფების მრავალფეროვნება (დევნილები, ეკომიგრანტები) • ნარჩენების მართვის არაეფექტური სისტემა • დიდი რაოდენობით დეგრადირებული ჩაის ფართობები და სასოფლო-სამეურნეო მიწები • აგრარული გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე • დაბალნაყოფიერი მიწები • მაღალკვალიფიციური სამედიცინო კადრების უკმარისობა, ვიწრო სპეციალობის ექიმების არარსებობა

შესაძლებლობები	**საფრთხეები**
• ახალი ტურისტული ლოკაციების შესაძლებლობა (ლიმონას ტბა, ახსის ტბა, ნამაშევის ნაციხარი, ღვედი და გვაშტიბე) • რეგიონის განათლების ცენტრის იმიჯი - „განათლების ქალაქი“ • მეცხოველეობისა და მემცენარეობის-კენკროვანი კულტურების განვითარების პოზიტიური პრაქტიკა • სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების პრაქტიკა • მეთევზეობის, მესათბურეობის, მეცხოველეობის გამოცდილება • მდიდარი ტყის რესურსი • თავისუფალი მიწის რესურსი • სასარგებლო წიაღისეული: კირქვა, ბარიტი, თიხა, ინერტული მასალები • დონორებთან კარგი ურთიერთობა • ქვეყნის და რეგიონის მზარდი ეკონომიკური განვითარება • დასავლეთ საქართველოს, როგორც სატრანსპორტო და ლოგისტიკური ჰაბის, განვითარება	• მეწყრული პროცესები • ძლიერი ქარი, უხვი ნალექი (კლიმატური პირობები) • სოფლის მეურნეობის დაუზღვევლობა • ახალგაზრდების და სამუშაო ძალის ემიგრაციის მაღალი მაჩვენებელი • დაბალი შობადობა და მოსახლეობის დაბერება

2. ხონის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა, პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები

2.1. მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

ხონის მუნიციპალიტეტის ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება, მისი ტურისტული პოტენციალის მაქსმალური გამოვლენა, რაც გულისხმობს მიმზიდელი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით ხონის მოსახლეობის ეკონომიკურ გაუმჯობესებას. ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორიცაა გზები, გარე განათება, რეაბილიტირდება მუნიციპალიტეტის ცენტრი, დასვენებისა და გართობის ადგილები, რათა მაქსიმალურად ხელი შეეწოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას. მიუსაფარი ცხოველების რაოდენობის მინიმუმამდე შემცირებით ჰუმანური მიდგომების გამოყენებით და ნარჩენების ეფექტური მუნიციპალიტეტში ცხოვრება გახდება უფრო უსაფრთხო და სასიამოვნო. პრიორიტეტი იქნება განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყანის წარმატებული მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები, რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს. როგორც ქვეყნის მთავრობისათვის ასევე მუნიციპელიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა

იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და შეიქმნება ისეთის ახალი პროგრამები, რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

2.2. სექტორული პრიორიტეტები

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებები:

ინფრასტრუქტურა;

- გასართობი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრები
- ტრანსპორტი
- სანიაღვრე არხები და კანალიზაცია
- ტურისტული ინფრასტრუქტურა.
- გზების აშენება, შეკეთება
- წყალმომარაგება
- შენობების რეაბილიტაცია
- გარე განათება

დასუფთავება და გარემოს დაცვა;

- ნარჩენების მართვა
- ქუჩის მიუსაფარი ცხოველების საკითხის მოწესრიგება
- სტიქიური მოვლენებისგან დაცვა
- ენერგიის ალტერნატიული წყაროები

განათლება და ახალგაზრდობა;

- სკოლამდელი დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ფუნქციონირება
- სკოლის გარეშე და არაფორმალური განათლება
- უწყვეტი/ზრდასრულთა განათლება

კულტურა და სპორტი

- ადგილობრივი მასობრივი სპორტი
- მუზეუმები, თეატრი და კულტურული ცხოვრება

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

- მუნიციპალური სოციალური პროგრამები
- საზოგადოებრივი ჯანდაცვა

ეკონომიკური განვითარება:

- სოფლის მეურნეობა და დამამუშავებელი წარმოება
- ინვესტიციების მოზიდვა, ქონების მართვა
- ტურიზმი, სასტუმრო და ტურისტული მომსახურება

 წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება;

- ღია და გამჭვირვალე მმართველობა
- ელექტრონული მმართველობა
- მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში

2.3. მიზნები და ამოცანები

პრიორიტეტი - ინფრასტრუქტურა

მიზანი 1: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასართობ-რეკრეაციული, ტურისტული, საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაცია

გავლენის ინდიკატორები:

1.1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 02 კოდზე (ინფრასტრქუტურა გათვალისწინებული) თანხების მოცულობა

1.2. არაფინანსური აქტივების ზრდის შეფარდება მთლიან ბიუჯეტთან

ამოცანა 1.1: ქალაქ ხონსა და სოფლებში გასართობი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი:

1.1.1. ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილი მულტიფუნქციური გასართობი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის რაოდენობა

ამოცანა 1.2: მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, სოფლებსა და ქალაქ ხონს შორის სანდო და კომფორტული საზოგადოებრივი ტრანსპორტის უზრუნველყოფა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი:

1.2.1. დასახლებების პროცენტული წილი, საიდანაც ხორციელდება საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება თვითმმართველობის ცენტრამდე დღეში სულ მცირე ორჯერ

ამოცანა 1.3: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ღვარსადენების (სანიღვრე არხები) და წყალარინების (კანალიზაციის) ქსელის გაფართოება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები:

1.3.1. ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამართულად მოქმედი ღვარსადენების ხვედრითი წილი

1.3.2. ხონის მუნიციპალიტეტის დასახლებების საერთო პროცენტული წილი, რომელიც დაფარულია წყალარინების სისტემით

ამოცანა 1.4: ახალ ტურისტულ ლოკაციებზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი:

1.4.1. ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილი ტურისტული ინფრასტრუქტურის (საპიკნიკე, დასასვენებელი, რეაკრეაციული ადგილი, ბილიკები) რაოდენობა

ამოცანა 1.5: ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია და შიდა სასოფლო-საქალაქო გზების მოწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორები:

1.5.1. ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილი საგზაო ინფრასტრუქტურის სიგრძე

1.5.2. მოწესრიგებული (არაამორტიზირებული) ასფალტირებული/ასფალტობეტონის საფარიანი გზების საერთო სიგრძის წილი (%) მუნიციპალიტეტის ადგილობრივი გზების საერთო სიგრძესთან მიმართებაში

ამოცანა 1.6.: ხონის მუნიციპალიტეტის დასახლებების წყალმომარაგებით უზრუნველყოფა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი:

1.6.1. დასახლებების პროცენტული წილი, სადაც ხდება წყლის 24-საათიანი მიწოდება

ამოცანა 1.7.: ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციული და საცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია

ამოცანის შედეგის ინდიკატორი:

1.7.1. ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეაბილიტირებული ადმინისტრაციული შენობების რაოდენობა

ამოცანა 1.8: გარე განათების ქსელის მოწყობა და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა

ამოცანის შედეგის ინდიკატორები:

1.8.1. ხონის მუნიციპალიტეტში მოწყობილი გარე განათების რაოდენობა
1.8.2. გზების პროცენტული წილი, რომელზეც მოწყობილია გარე განათება

პრიორიტეტი - გარემო, ნარჩენების მართვა, მიუსაფარი ცხოველების კონტროლი და სტიქიურ მოვლენებთან გამკლავება

მიზანი 2: გარემოს დაცვა ნარჩენების მართვის, მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობის და სტიქიური მოვლენების უარყოფითი შედეგების შემცირების გზით.

გავლენის ინდიკატორები:

2.1 მუნიცპალიტეტში გარემოს დაბინძურების მაჩვენებელი

ამოცანა 2.1.: მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების სისტემის სრულყოფა და გაფართოება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი:

2.1.1 მოსახლეობის რაოდენობა, რომელსაც ერთი კონტეინერი ემსახურება

ამოცანა 2.2.: ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის დანერგვა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი:

2.2.1. სეპარირებულად შეგროვებული ნარჩენების ოდენობა

ამოცანა 2.3.: მოსახლეობის ინფორმირების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხებზე, მათ შორის ინერტულ ნარჩენებზე.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი:

2.3.1. სტიქიური ნაგავსაყრელების რაოდენობა

ამოცანა 2.4.: ქუჩაში მცხოვრები მიუსაფარი ცხოველების რაოდენობის შემცირება და კონტროლი

ამოცანის შედეგის ინდოკატორი:

2.4.1. მოცემული წლის განმავლობაში ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მიუსაფარი ცხოველების რაოდენობა

ამოცანა 2.5.: სტიქიური მოვლენებისგან მოსახლეობის დაცვა

ამოცანის შედეგის ინდოკატორი:

2.5.1. სტიქიური მოვლენებისგან დაზარალებული მოსახლეობის რაოდენობა

ამოცანა 2.6: ენერგიის ალტერნატიული წყაროების წარმოების და გამოყენების ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდოკატორები:

2.6.1. ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განახლებადი ენერგიის წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის მოცულობა

2.6.2. ხონის მუნიციპალიტეტის შინამეურნეობების წილი, რომელიც იყენებს განახლებადი ენერგიის წყაროებზე მომუშავე (მზე, ქარი, ჰიდრო) გათბობის ან/და წყლის გაცხელების სისტემას

პრიორიტეტი - განათლება და ახალგაზრდობა

მიზანი 3: აკრედიტაციის სტადარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

გავლენის ინდიკატორები:

3.1. ადმინისტრაციული ერთულების პროცენტული წილი, რომელშიც ფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები

3.2. სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში ჩართული ბავშვების შეფარდება მუნიციპალიტეტში სკოლამდელი ასაკის ბავშვების რაოდენობაზე

ამოცანა 3.1.: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გამართული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და სააღმზრდელო პროცესის უზრუნველყოფა

ამოცანის შედეგის ინდიკატორები:

3.1.1. ბოლო 5 წლის მანძილზე რეაბილიტირებული/აშენებული ბაღების პროცენტული წილი საერთო რაოდენობაში

3.1.2. ერთ აღმზრდელზე აღსაზრდელების რაოდენობა

ამოცანა 3.2.: მოზარდთა და ახალგაზრდების სკოლისგარეშე და არაფორმალური აღზრდისა და განათლების ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი:

3.2.1. წრეების და კლუბების ბენეფიციართა რაოდენობა, ჩაშლილი გენდერულ ჭრილში

ამოცანა 3.3.: ზრდასრულთა უწყვეტი და პროფესიული განათლების და მომზადება-გადამზადების ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი:

3.3.1.: მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით შექმნილი პროფესიული და უწყვეტი განათლების პროგრამების ბენეფიციარების რაოდენობა

პრიორიტეტი - კულტურა და სპორტი

მიზანი 4: ხონის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა კულტურული თვითგამოხატვისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობა სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიებების გზით

გავლენის ინდიკატორები:

4.1. მუზეუმებისა და კულტურის ცენტრების ვიზიტორთა რაოდენობა

4.2. სპორტის და ხელოვნების წრეებზე ჩართული ახალგაზრდების (6-18 წელი) პროცენტული წილი იგივე ასაკის მთლიან მოსახლეობაში, ჩაშლილი გენდერულ ჭრილში

ამოცანა 4.1: ადგილობრივი მასობრივი სპორტის განვითარება სხვადასხვა სპორტული ღონისძიების ორგანიზებით, სპორტის მრავალფეროვანი სახეობების გუნდების ფორმირებით

ამოცანის შედეგის ინდიკატორი:

4.1.1. მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ სპორტულ ღონისძიებებზე დამსწრეთა ჯამური რაოდენობა

ამოცანა 4.2.: კულტურის ცენტრების, ხელოვნებისა და კულტურული აქტივობების ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი:

4.2.1. მუზეუმების, თეატრის და კულტურის ცენტრების ვიზიტორთა რაოდენობა

პრიორიტეტი - ჯანდაცვა და სოციალური სერვისები

მიზანი 5: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და სხვადასხვა საჭიროების მქონე პირებისთვის სოციალური სერვისების მიწოდება

გავლენის ინდიკატორი:

5.1. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პროცენტული წილი

ამოცანა 5.1.: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი:

5.1.1. უფლებამოსილების დელეგირების განმახორციელებელი უწყების შეფასება დადებითია

ამოცანა 5.2.: მუნიციპალური სოციალური დახმარების პროგრამების მრავალფეროვნების და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

ამოცანის შედეგის ინდიკატორები:

5.2.1. მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი წესების მიხედვით მომართვიანობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი
5.2.2. მუნიციპალური სოციალური პროგრამების ბენეფიციარების ჯამური რაოდენობა

პრიორიტეტი - ადგილობრივი ეკონომიკა

მიზანი 6: ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა

გავლენის ინდიკატორები:

6.1. მუნიციპალიტეტში გამოშვებული პროდუქცია
6.2. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა
6.3. დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა

ამოცანა 6.1: სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორები:

6.1.1. ბიზნეს რეესტრში რეგისტრირებული A სექტორში და C სექტორში საქმიანობის განმახორციელებელი აქტიური ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა
6.1.2. მოსავლიანობა 1 ჰექტარზე

ამოცანა 6.2.: ინვესტიციების მოზიდვა და ადგილობრივი ქონების ეფექტიანი მართვა

ამოცანის შედეგის ინდიკატორები:

6.2.1. საპრივატიზებო ქონების ნუსხიდან წლის განმავლობაში გამოტანილი ქონების პროცენტი
6.2.2. მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა

ამოცანა 6.3.: მუნიციპალიტეტში დაყოვნების დღეების გაზრდის მიზნით ტურიზმის, სასტუმრო და ტურისტული ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორები:

6.3.1. ბიზნეს რეესტრში რეგისტრირებული განთავსების საშუალებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობების მქონე ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა
6.3.2. მუნიციპალიტეტში ვიზიტორების რაოდენობა

პრიორიტეტი - კარგი მმართველობა

მიზანი 7: მოქალაქეზე ორიენტირებული, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობის უზრუნველყოფა

გავლენის ინდიკატორი:

7.1. LSG Index ჯამური ქულა

ამოცანა 7.1.: ადგილობრივი მმართველობის გამჭვირვალობის და ღიაობის უზრუნველყოფა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი:

7.1.1. LSG-ის გამჭვირვალობისა და ღიაობის ქულა (TO index)

ამოცანა 7.2.: მუნიციპალური მმართველობის ელექტრონული სერვისების გაუმჯობესება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი:

7.2.1. LSG-ის ელექტრონული მმართველობის ქულა (EG index)

ამოცანა 7.3.: ადგილობრივი მმართველობის საზოგადოების წინაშე ანგარიშვალებულების ზრდა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი:

7.3.1. LSG-ის მონაწილეობის და ანგარიშვალდებულების ქულა (PA index)

2.4. ლოგიკური ჩარჩო

ზემოთ აღწერილი ხედვის, პრიორიტეტების, მიზნების და ამოცანების ფორმულირებები, შესაბამისი ინდიკატორებით, მათი საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების მითითებით, წარმოდგენილია ლოგიკური ჩარჩოს სახით (იხ. დანართი).

3 ხონის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება

3.1 განხორციელება და კოორდიანცია

ხონის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის განხორციელება იწყება მისი დამტკიცებისთანავე. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულ აქტივობებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და ორგანიზაციები ახორციელებენ აქტივობებს, შესაბამის პარტნიორებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ამ პროცესში იცავენ გეგმით გაწერილ ვადებს და ცდილობენ აქტივობის შედეგის სამიზნე ინდიკატორების მიღწევას. იმ შემთხვევაში, თუ აქტივობა არაა სრულად დაფინანსებული (დეფიციტურია), მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურები მუშაობენ მთავრობასთან, შესაბამის დონორებთან ან კერძო ორგანიზაციებთან დაფინანსების მოპოვების მიზნით. დაფინანსების ვერმოპოვების შემთხვევაში, აქტივობის განხორციელება გადადის მომდევნო წელს ან, ორწლიანი სამოქმედო გეგმის ამოწურვის შემთხვევაში, მომდევნო სამოქმედო გეგმაში. დოკუმენტის განხორციელების ზოგად კოორდინაციას უზრუნველყოფს მერი და მერის ბრძანებით შექმნილი „ხონის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი", რომელიც წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისა და წევრების სახით:

ხონის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა		
მერია		
1	გერასიმე მჟავანაძე (ჯგუფის ლიდერი)	მერის პირველი მოადგილე
2	მანანა გოფოძე	მერის მოადგილე
3	ამირან კინწურაშვილი	ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი
4	ლევან ჩიხლაძე	საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი
5	ირაკლი ჟორჟოლიანი	ეკონომიკის, ქონების აღრიცხვისა და მართვის სამსახურის ხელმძღვანელი
6	ილია ყუფარაძე	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელი
7	მარიამ რუხაძე	კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი
8	ლეილა კინწურაშვილი	შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი
9	გიორგი ინანეიშვილი	ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
10	სერგო ბალავაძე	აუდიტისა და შიდა კონტროლის სამსახურის ხელმძღვანელი
საკრებულო		
11	გელა ჩოგოვაძე	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე
12	დემურ სულაბერიძე	საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე
13	ზაზა ვაშაკიძე	ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
14	ზაზა რუხაძე	ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
15	გურამ ბახტაძე	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე
16	ზურაბ მიქაძე	იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე
მრჩეველთა საბჭოები		
17	ია კოხრეიძე	მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი

18	აკაკი ქვათელაძე	გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი
კერძო სექტორი		
19	გიორგი ლაკვეხელიანი	მეფუტკრეთა ასოციაციის წევრი
20	თამარ გენძეხაძე	მეწარმე ქალი (მეჩაიეობა)
კულტურა, განათლება, სპორტი		
21	ჯულიეტა ქობალია	ქალაქ ხონის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის ფუნქციათა შემსრულებელი
22	ალიკო ვეკუა	ააიპ ხონის სასპორტო სკოლის დირექტორი
მოწყვლადი ჯგუფები		
23	ბაჩანა ბასილაია	ხონის დევნილთა საინიციატივო ჯგუფის წევრი
24	ანნა მოგელაძე	ხონის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე
25	ზაზა ჯიშკარიანი	შშმ პირთა საბჭოს წარმომადგენელი

ხონის მუნიციპალიტეტის საშალოვადიანი განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების ტექნიკურ კოორდინაციას გაუწევს სამუშაო ჯგუფის ტექნიკური ჯგუფი. მის მოვალეობაში შედის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებთან კომუნიკაცია, მათგან შესაბამისი ინფორმაციის და მონაცემების გამოთხოვა და საშუალოვადიანი დოკუმენტის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშების მომზადების კოორდინაცია.

ტექნიკური ჯგუფის შემადგენლობა			
1	ელისო ჯიქია	ადმინისტრაციული სამსახურის, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების, საზოგადოებასთან ურთიერთობის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	ჯგუფის ხელმძღვანელი
2	მარინე ძაძამია	ეკონომიკის, ქონების აღრიცხვისა და მართვის სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	
3	ნანა კაკაბაძე	მერის თანაშემწე	

4	მაკა ბუხრაშვილი	სპეციალისტი ქალაქ ხონის ადმინისტრაციულ ერთეულში	

3.2 მონიტორინგი და შეფასება

განხორციელების პარალელურად, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მუდმივ მონიტორინგს და რეგულარულ ანგარიშგებას (ანგარიშების მომზადებას). სამუშაო ჯგუფი ამზადებს მონიტორინგის და შეფასების ანგარიშებს. **მონიტორინგის** ფარგლებში, სამუშაო ჯგუფი, ტექნიკური ჯგუფის დახმარებით, ამზადებს **წლიურ ანგარიშს,** ხოლო უშუალოდ აქტივობებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები ამზადებენ ე.წ. სტატუს ანგარიშებს.

მონიტორინგის წლიური ანგარიშის დანიშნულებაა, დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიღწეული პროგრესის შესახებ და ასევე მერსა და საკრებულოს ჰქონდეთ წარმოდგენა მუნიციპალური სამსახურების ეფექტურად მუშაობის, ძირითადი პრობლემებისა და შესაძლო ჩარევების შესახებ. მონიტორინგის წლიური ანგარიში მზადდება სამუშაო ჯგუფის მიერ და წარედგინება მერს. მისი საბოლოო დამტკიცება ხდება საკრებულოს მიერ.

მონიტორინგის წლიური ანგარიშის მოსამზადებლად სამუშაო ჯგუფის ლიდერს ჯგუფის წევრი სტრუქტურული ერთეულები უგზავნიან **სტატუს ანგარიშებს,** რომელშიც ასახულია სამოქმედო გეგმაში შესული იმ აქტივობების შესრულებასთან დაკავშირებით მოკლე ინფორმაცია, რომელთა შესრულებაზე პასუხისმგებელ უწყებებად ეს სტრუქტურული ერთეულები არიან განსაზღვრული. სამუშაო ჯგუფის ლიდერი, ჯგუფის წევრებთან კონსულტაციის შემდეგ, განსაზღვრავს სტატუს ანგარიშების მომზადება-გაგზავნის პერიოდულობას. სტატუს ანგარიშის მომზადება ხდება 6 თვეში ერთხელ და არ ექვემდებარება გამოქვეყნებას, ხოლო მონიტორინგის წლიური ანგარიში ეხება ერთწლიან პერიოდს და ქვეყნდება სანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 მარტამდე.

#	ანგარიშის ტიპი	სავარაუდო პერიოდი	სავალდებულოობა	გამოქვეყნების ვადა	შინაარსი
1	სტატუს ანგარიშები	1 თვე; 3 თვე; 6 თვე	სულ მცირე 6 თვეში ერთხელ	არ ქვეყნდება	აქტივობები
2	მონიტორინგის წლიური ანგარიში	1 წელი	დიახ	მომდევნო წლის 1 მარტამდე	ამოცანები; აქტივობები

სტატუს ანგარიშის და წლიური ანგარიშის შაბლონი (სტრუქტურა) წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების სახელმძღვანელოს მე-6 დანართში.

რაც შეეხება **შეფასებას,** არსებობს შეფასების ორი ტიპი: შუალედური და საბოლოო შეფასება. შესაბამისად, შეფასების ანგარიში მზადდება ორ წელში ერთხელ - დოკუმენტის დამტკიცებიდან ორი წლის შემდეგ (შუალედური შეფასება) და დოკუმენტის ოთხწლიანი ვადის გასვლისას (საბოლოო შეფასება). შუალედური შეფასების მომზადდება 2026 წლის პირველ ნახევარში, ხოლო საბოლოო შეფასება - 2028 წლის პირველ ნახევარში. შუალედური შეფასების საფუძველზე იქმნება

ახალი, 2026-2008 წლების სამოქმედო გეგმა. ამდენად, დოკუმენტის დამტკიცებიდან ყოველი მომდევნო წლის 1 მარტამდე უნდა მომზადდეს მონიტორინგის ანგარიში, ხოლო შუალედური შეფასების წელს (2024), ასევე - შუალედური შეფასების ანგარიში და 2028 წელს - საბოლოო ანგარიში, რომელიც გახდება მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების ახალი დოკუმენტის საფუძველი.

განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების კალენდარი		
განხორციელება	განგრძობითად, დოკუმენტის დამტკიცების დღიდან	
მონიტორინგი	განგრძობითად, დოკუმენტის დამტკიცების დღიდან	
მონიტორინგის ანგარიშის მომზადება	**წელიწადში ერთხელ**	**1 მარტამდე**
შეფასება	**მე-2 წელს (შუალედური) და მე-4 წელს (საბოლოო)**	**1 მარტამდე**
სამოქმედო გეგმის განახლება	**მე-2 წელს**	**15 ოქტომბრამდე**
განვითარების დოკუმენტის განახლების პროცესის დაწყება	**მე-4 წელს**	**20 იანვრამდე**

შეფასების დროს განისაზღვრება შეფასების კრიტერიუმები და კითხვები, შეფასების ტიპი და მეთოდოლოგია (იხ. სახელმძღვანელოს მე-6 დანართი).

მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შესაფასებლად, შესაძლებელია, **შეფასების შიდა, გარე და შერეული ტიპის** გამოყენება:

1) შიდა, რომელსაც ახორციელებს მერია;
2) შერეული, როდესაც მერიას შეიძლება ეხმარებოდნენ დამოუკიდებელი გარე ექსპერტები, ორგანიზაციები ან/და სხვა სახელმწიფო უწყებები;
3) გარე, როდესაც შეფასებას ატარებენ დამოუკიდებელი გარე ექსპერტები ან ორგანიზაციები.

მონიტორინგისა და შეფასების ნაწილში ადგილობრივი ხელისუფლება ქმნის საზოგადოების ორგანიზაციების, მოქალაქეებისა და ბიზნეს სექტორის **ჩართულობის მექანიზმებს.** დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ხდება როგორც უშუალოდ სამუშაო ჯგუფის შიგნით, ისე მის გარეთ - სამუშაო ჯგუფის წევრები ხვდებიან და ინფორმაციას და მონაცემებს იღებენ დაინტერესებული მხარეებიდან, რომლებიც არ არიან სამუშაო ჯგუფის წევრები. წლიური

ანგარიშები და შეფასების ანგარიშები ქვეყნდება მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდსა და სოციალური მედიის არხებზე.

4 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

ხონის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავებაში ჩართული იყო დაინტერსებული მხარეების შემდეგი ქვეჯგუფები:

- მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები, მათ შორის, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები, ასევე, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების თანამშრომლები;
- ადგილობრივი მოსახლეობა,
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;
- ადგილობრივი არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციები და აქტივისტები;
- კერძო სექტორი (მათ შორის ქალების მფლობელობაში ან ქალების მიერ მართული ბიზნესები);
- ახალგაზრდულ, გენდერული თანასწორობის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და სხვა ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების ან/და თემატური საბჭოების წარმომადგენლები;
- სხვადასხვა ასაკობრივი, სოციალური, გეოგრაფიული ჯგუფები.

დაინტერესებული მხარეების ჩართულობა უზრუნველყოფილ იქნა დოკუმენტის შემუშავების ყველა ეტაპზე. გარდა ამისა, ბოლო ეტაპზე, დოკუმენტის დამტკიცებამდე, განვითარების დოკუმენტის სამუშაო ვერსიაზე გაიმართა საჯარო კონსულტაციები. დოკუმენტის სამუშაო ვერსია გამოქვეყნდა მუნიციპალიტეტის ოფიციალურ გვერდებზე და დაეგზავნება სამუშაო ჯგუფის ბაზაში არსებულ ყველა პირს ელექტრონულ მისამართზე. დოკუმენტის საჯარო განხილვა ჩატარდა ე.წ. town hall (ფართომასშტაბიანი შეხვედრების, კრების) ფორმატში - ადგილობრივი მოსახლეობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო სექტორის წარმომადგელებთან, ქალებთან და ახალგაზრდებთან, საჯარო მოხელეებთან, თემის ლიდერებთან და სხვა დემოგრაფიული, აკადემიური და სამეცნიერო ჯგუფებთან. ამ მიზნით, დოკუმენტის სამუშაო ვერსია და მისი მოკლე ვარიანტი საჯაროდ გამოქვეყნდა ელექტრონული წყაროებით (მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის, ფეისბუქის, ელ-ფოსტის საშუალებით), მათ შორის გავრცელდა ინფორმაცია საჯარო კონსულტაციების დაწყების და დასრულების ვადებზე, ადგილსა და დროზე. საჯარო კონსულტაციებზე მოწვეულ იქნა ადგილობრივი მედია, რამაც ხელს შეუწყო საჯარო კონსულტაციების თაობაზე ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების მაქსიმალურ ხარისხს. ცალკე შეხვედრები გაიმართა ადგილობრივ საბჭოებთან, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, ახალგაზრდული, გენდერული თანასწორობის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და სხვა საბჭოებთან.

სამუშაო ჯგუფის პირველ შეხვედრაზე შემუშავდა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების და საჯარო კონსულტაციების შემდეგი გეგმა, რომელშიც დროთა განმავლობაში შედიოდა ცვლილებები:

დაინტერესებული მხარე (ჯგუფი)	წარმომადგენელი (პირები,	გავლენა	ინტერესი	მნიშვნელობა	კონსულტ. მიდგომა	რატომ?/საკითხები	რა ეტაპზე	კონსულტ. ან ინფორმირე

	ორგანიზაციები)							ბის მეთოდი
დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები								
ადგილობრივი არასამთავრობო და მედია ორგანიზაციები	ა/ო „მწვანე რეგიონები“, ხონის სათემო განათლების ცენტრი, ახალგაზრდული საბჭო, ხონის დევნილთა საინიციატივო ჯგუფი, ხონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ასოციაცია - „იმედი“, ახალგაზრდული კავშირების ლიგა, ბედნიერი ქალები, იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრაციისა და ხელშეწყობის ცენტრი, პროფესიო	მაღალი	მაღალი	მაღალი	კონსულტაცია	ინფორმაციას/ცოდნას ფლობენ (მათი ნაწილი სამუშაო ჯგუფის წევრია); სურთ მუნიციპალიტეტს ჰქონდეს განვითარების სტრატეგია. რა გამოწვევების წინაშე დგას მუნიციპალიტეტი; რა უნდა იყოს პრიორიტეტები	სიტუაციის ანალიზი; სტრატეგიული ჩარჩოს (მიზნები, ამოცანები, ინდიკატორები) შემუშავება; სამოქმედო გეგმის შემუშავება	ფოკუს ჯგუფი/საკონსულტაციო შეხვედრა

	ნალთა ეროვნული ლიგა, სათემო კავშირი - მერცხალი, შშმ პირთა დღის ცენტრი „თანადგომა“, ფეისბუქ ჯგუფი „ხონის ფორუმი“, გაზეთი „ხონი“, გაზეთი „ხონელი“, მეგა TV							
ფერმერები	მეფუტკრეობის ასოციაცია, მეთხილეები, ჩაი, მოცვი, მესაქონლეობის წარმომადგენლები	მაღალი	მაღალი	მაღალი	კონსულტაცია	ბევრისთვის შემოსავლის წყაროა; აქვთ გამოწვევები. რა გამოწვევების წინაშე დგანან ფერმერები; რა ტიპის დახმარება სჭირდებათ	სიტუაციის ანალიზი; სამოქმედო გეგმის შემუშავება	ფოკუს ჯგუფი/საკონსულტაციო შეხვედრა

მცირე და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები	მეწარმეები და საწარმოები (მაგ. ავეჯის წარმოება), მსხვილი მარკეტები (ნიკორა, ლიბრე, მაგნიტი, დეილი, კორმარტი), სადისტრიბუციო კომპამიები, იმპორტიორი კომპანიები, ბანკები, ხონის ბაზარი	დაბალი	მაღალი	საშუალო	კონსულტაცია	ბევრი ადამიანია დასაქმებული; სარგებლობენ მუნიციპალური სერვისებით/ მათზე გავლენას ახდენს (მაგ. გზები, კეთილომწყობა) რა გამოწვევების წინაშე დგანან ფერმერები; რა ტიპის დახმარება სჭირდებათ	სიტუაციის ანალიზი; სამოქმედო გეგმის შემუშავება	ფოკუს ჯგუფი/საკონსულტაციო შეხვედრა
საოჯახო სასტუმროების, სასტუმროს, ტურისტული და გართობა-დასვენების მომსახურების სერვისებ	რამდენიმე საოჯახო სასტუმრო, მათ შორის მაღალმთიან დასახლებებში (კინჩხასა და გორდში), 1 ც. სასტუმრო	მაღალი	მაღალი	საშუალო	კონსულტაცია	ტურიზმის შესახებ აქვთ ცოდნა/ინფორმაცია; აქვთ ინტერესი განვითარდეს ტურიზმი.	სიტუაციის ანალიზი; სამოქმედო გეგმის შემუშავება	ფოკუს ჯგუფი/საკონსულტაციო შეხვედრა

ის წარმომადგენლები	ქ. ხონში, ჩირის საწარმო, რომელიც ხშირად იღებს ვიზიტორებს, სოფ. გორდიში, ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლის ვიზიტორთა, ცენტრის, ხონის ისტორიული მუზეუმის, ციხე-სიმაგრეებზე და ტაძრებზე ტურების მომწყობი გიდები, DMO იმერეთის წარმომადგენლები, მერიის ტურიზმის განყოფილების თანამშრომლები					რა გამოწვევების წინაშე დგანან საოჯახო სასტუმროები და სასტუმროები, ტურისტული ბიზნესი; რა ტიპის დახმარება სჭირდებათ; რა ადგილობრივ შესაძლებლობებს ხედავენ მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის		
მოსახლეობა	ქალაქ ხონის და სოფლების, მათ შორის მაღალმთიანი	მაღალი	მაღალი	მაღალი	კონსულტაცია	მოსახლეობისთვის აქტუალურია სოციალური	სიტუაციის ანალიზი; სამოქმედო	1) დასახლებების საერთო კრებები ღია ცის ქვეშ/შენობებში

	დასახლებ ების, მოსახლეო ბა					საკითხებ ი, ასევე ინფრასტ რუქტურ ა და სხვა. მოსახლე ობა მუნიც. სერვისებ ის მთავარი ბენეფიცი არია რა აწუხებთ ყველაზე მეტად; რაა მთავარი პრიორი ტეტები; რა პროექტე ბის განხორც იელება სურთ	გეგმის შემუშა ვება	(დაახლ. 50 მონაწილე თითოზე), ესწრება მერის მოადგილე და სამუშაო ჯგუფის წევრების ნაწილი 2) მოსახლეობ ის გამოკითხვ ა (მოკლე კითხვარი მთავარ საჭიროებე ბზე და სექტორულ პრიორიტე ტებზე. კითხვარი შედგება ფოკუს ჯგუფების მიგნებების საფუძველ ზე)

მასწავლებლები, აღმზრდელები და დირექტორები	საჯარო სკოლების, საბავშვო ბაღების და არაფორმალური განათლების ააიპ-ების, ხონის სათემო ცენტრის, ბიბლიოთეკის წარმომადგენლები	დაბალი	მაღალი	საშუალო	კონსულტაცია	არიან სერვისების მიმწოდებლები; ფლობენ ინფორმაციას არსებულ პრობლემებზე; იციან „რა მუშაობს“ და რა - არ.	სიტუაციის ანალიზი	ფოკუს ჯგუფი/საკონსულტაციო შეხვედრა
სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის მერიის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების და სერვისების ბენეფიციარები	შშმ პირები, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვის მშობელი, მარტოხელა დედა, სოციალურად დაუცველები, ასაკით პენსიონერები როგორც ქ. ხონიდან, ისე სოფლებიდან, მერიის ჯანდაცვის პროგრამებ	დაბალი	მაღალი	საშუალო	კონსულტაცია	ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებია; სარგებლობენ/მათზე გავლენას ახდენს მუნიციპალური სერვისები.	სიტუაციის ანალიზი	ფოკუს ჯგუფი/საკონსულტაციო შეხვედრა

	ის ბენეფიციარები,							
კულტურის, ხელოვნების და სპორტის სფეროს მუშაკები	სახელოვნებო, კულტურის და სპორტის ააიპები მაგ. ა(ა)პ „ხონის სამუსიკო სკოლის“ და ა(ა)პ „დავით კაკაბაძის სახელობის ხონის სამხატვრო სკოლის“ და სხვა ააიპ-ების წარმომადგენლები, მწვრთნელები	დაბალი	მაღალი	საშუალო	კონსულტაცია	არიან სერვისების მიმწოდებლები; ფლობენ ინფორმაციას არსებულ პრობლემებზე	სიტუაციის ანალიზი	ფოკუს ჯგუფი/საკონსულტაციო შეხვედრა
ახალგაზრდები	ახლაგაზრდები, კაცები და ქალები სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში, მათ შორის ახალგაზრდა მშობლები როგორც ქ. ხონიდან, ისე	მაღალი	მაღალი	მაღალი	კონსულტაცია	სურთ ახალგაზრდული საკითხების ასახვა დოკუმენტში	სიტუაციის ანალიზი; სამოქმედო გეგმის შემუშავება	ფოკუს ჯგუფი/საკონსულტაციო შეხვედრა

	სოფლები დან; ახალგაზრ დული საბჭოს წევრები							
ჯანდაცვ ის და სოციალუ რი სერვისებ ის პროვაიდ ერები	მერიის სოციალუ რი პროგრამებ ის (ააიპ-ების) მენეჯერებ ი, ექიმები, ექთნები, ადგილობ რივი კლინიკები ს (ჯეოჰისპი ტალი, ევექსი), ფსიქიატრ ული კლინიკის, საზოგადო ებრივი ჯანდაცვის ცენტრის წარმომადგ ენლები, სოციალუ რი აგენტები და მუშაკები, სათნოების სახლი, მადლიერე ბის სახლი	დაბა ლი	მაღა ლი	საშუა ლო	კონსულ ტაცია	არიან სერვისებ ის მიმწოდე ბლები; ფლობენ ინფორმა ციას არსებულ პრობლემ ებზე; იციან „რა მუშაობს“ და რა - არ.	სიტუა ციის ანალი ზი; სტრატ ეგიულ ი ჩარჩოს შემუშა ვება	ფოკუს ჯგუფი/საკ ონსულტაც იო შეხვედრა
საჯარო კონსულტაციები								

მოსახლეობა და ნებისმიერი დაინტერესებული პირი	ქალაქ ხონის და სოფლების, მათ შორის მაღალმთიანი დასახლებების, მოსახლეობა	მაღალი	მაღალი	მაღალი	ინფორმირება; კონსულტაცია	მოსახლეობისთვის აქტუალურია სოციალური საკითხები, ასევე ინფრასტრუქტურა და სხვა. მოსახლეობა მუნიც. სერვისების მთავარი ბენეფიციარია რა აწუხებთ ყველაზე მეტად; რაა მთავარი პრიორიტეტები; რა პროექტების განხორციელება სურთ	საჯარო კონსულტაციები	1)ელექტრონული კონსულტაციები 2)ფიზიკური კონსულტაციები;

5 სამოქმედო გეგმა